ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 11 აპრილი, 2019 №85 (8039) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

დავით ჭიჭინაძე: „შემოდგომისთვის ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება“

9 აპრილიდან

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

მაუგლის ამბები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„სოლოლაკის სასახლეს ალყაში მოვაქცევთ“

გვ.3

გიორგი გუგავა: „ქართველები ამაყი ხალხი ვართ და ოლიგარქის მონობა არ გვეკადრება“

გუბაზ სანიკიძე: „რახან ივანიშვილს ქუჩის აქციების ეშინია, ქუჩაში გავალთ“

გვ.3

„ბიძინა და სალომე ქვეყნისთვის სახიფათოა... მათ ქეჩოში უნდა მოჰკიდო ხელი“

„ივანიშვილს უნდა, რომ ხალხმა „ოცნება“ დაამხოს“

გვ.2

ნიკოლოზ მჟავანაძე: „უკვე სერიოზულად მეშინია, ქალები კაცებში არ შეეშალოთ“

„ჩემი შვილი როგორი მასხრად ასაგდებია, ვანახებ კახიაშვილსაც, ასანიძესაც და ჯანჯღავასაც“

გვ.5

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მათ პირადად დავსჯი, თუ სახელმწიფო არ დასჯის“

მაია რჩეულიშვილს 7 წელი მიუსაჯეს

გვ.6

სამართალი

გვ.7

პროკურატურასთან ლევან ჯიქურმა თავის დაწვა ცადა

ბაჩანა შენგელია სარჩელის შეტანას სტრასბურის სასამართლოში გეგმავს

წყნეთში შვილმა მამა ცივი იარაღით მოკლა

ჯეკ შეფარდი დიდ ბრიტანეთს გადასცეს

ISSN 1987-9385

5 ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში უამრავი ფინანსური და სხვა დარღვევა აღმოაჩინეს

4 „9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ უნდა გამოცხადდეს“

7 ტარიელ ონიანი ისევ დააკავეს

8 ერდოღანს სტამბულის არჩევნების გაუქმება სურს

„ივანიშვილს უნდა, რომ ხალხმა „ოცნება“ დაამხოს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „უკვე სერიოზულად მეშინია, ქალები კაცებში არ შეეშალოთ“

შორენა მარსაგიშვილი

„მინდა მივმართო კახა კალაძეს, რა გახდა ლეილა ვეფხვაძისთვის ერთი პატარა ბინის ყიდვა?“

რატომ მფარველობს ივანიშვილი ზარდიაშვილ-ჩინჩალაძეს, რატომ არის სალომე ზურაბიშვილი ქვეყნისთვის სირცხვილი, რისკენ უბიძგებს ხელისუფლება ხალხს, რატომ აირივნენ ასე მწარედ მეოცნებეები და რით შეიძლება დასრულდეს მათი დაბნეულობა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

– „იმედის“ ეთერში ივანიშვილის ბოლო გამოსვლამ მამალი ქოცებიც კი შოკში ჩააგდო. იმის ნაცვლად, რომ ადამიანს შეცდომები ეღიარებინა, ზარდიაშვილს და მურუსიძეს გადაეფარა. რასთან გვაქვს საქმე?

– არც კი ვიცი, რა ვთქვა. სასამართლოში მიმდინარე პროცესების გამო „ოცნების“ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად გაუარესდა. ივანიშვილის განცხადებების შემდეგ კი რა გამოვიდა, ვისაც სასამართლოში მიმდინარე პროცესები არ მოგვწონს, ყველანი ნაცები და კაპიტანი გიგაურის მიმდევრები ვყოფილვართ. სად იყო კაპიტანი გიგაური, ჩვენ რომ მურუსიძე-ჩინჩალაძეს ვუპირისპირდებოდით.

მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი წინა რეჟიმს ემსახურებოდა. რა გარანტიაა, რომ ეს კლანი ახლა ამ ხელისუფლების მსახური არ იქნება?! მოსამართლე ერთხელ თუ იყო ვიღაცის მსახური, მეორედაც გააკეთებს ამას. რა უბედურებაა ამათი უვადო მოსამართლედ არჩევა. უვადო მოსამართლედ არჩევისას წესიერება და სამართლიანობა უნდა იყოს პრიორიტეტი და არა – მონობის ხარისხი.

ივანიშვილი გვეუბნება, რომ ეს მოსამართლეები ადრე კი იყვნენ ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ ახლა თავისუფლები არიან. რაღაც მეეჭვება, რომ თავისუფლები იყვნენ. ვთქვათ და დავიჯერე, რომ ახლა თავისუფლები არიან, მაგრამ იმ ქმედებებზე არ უნდა აგონ პასუხი, რაც იმ დროს ჩაიდინეს, როცა ზეგავლენის ქვეშ იყვნენ?!

როცა მოსამართლეებზე მიდის საუბარი, ხშირად ახსენებენ მურუსიძის კლანს. არ არის, ხალხო, ეს ასე. ეს მურუსიძის კი არა, ჩინჩალაძის კლანია. მურუსიძე ამ კლანის წარმომადგენელია.

რას ეუბნება ხელისუფლება იმ ადამიანებს, რომლებიც წლებია, უჩივიან ჩინჩალაძეს? პირადად მე მის წინააღმდეგ რამდენიმე საჩივარი მაქვს პროკურატურაში.

არ გეგონოთ, რომ ჩინჩალაძე და მისი კლანი მხოლოდ სასამართლო სისტემას აკონტროლებდეს. მას წვდომა აქვს პროკურატურაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სუსზე.

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსაც ჩინჩალაძის კლანი აკონტროლებს?

– შეიძლება არ აკონტროლებს, მაგრამ წვდომა აქვს. სუსზე ზედამხედველი პროკურორი არის მიხეილ შაყულაშვილი, რომელიც წლების წინ მცხეთაში ჩინჩალაძესთან ერთად მუშაობდა.

„ოცნებას“ ტყუილად ჰგონია, რომ მოსამართლეების ამბავი გაუვა. იმის იმედიც ტყუილად აქვთ, რომ რადგან ჩინჩალაძის კლანს ნაცებიც ლანძღავენ, ჩვენ ხმას აღარ ამოვიღებთ.

ნაცებს იმიტომ აქვთ ასეთი აღვირახსნილი კამპანია, რომ ეს მოსამართლეები მაგათ დააფრთიანეს და იციან, რასაც წარმოადგენენ. ნაცებს ის აწუხებთ, რომ მათ უღალატეს, ჩვენ კი ის, რომ ესენი დამნაშავე რეჟიმის ნაწილი იყვნენ.

მოიცა, ნაცებმა რომ თქვან, დილით თენდებაო, ჩვენ უნდა ვამტკიცოთ, რომ ღამდება? რაღაცა გადაკვეთის წერტილები თუ არის, ეს არ ნიშნავს, რომ მათი თანამოაზრეები ვართ.

ივანიშვილმა კი რა ქნა? ადგა და ყველა, ვისაც დამნაშავე რეჟიმის ნარჩენები არ მოგვწონს, ნაციონალებად გამოგვაცხადა. ამით მან საკუთარ თავს გაუკეთა ძალიან ცუდი საქმე. სალომე ზურაბიშვილზე გაღიზიანებული ხალხის რისხვა მისკენ წავიდა.

– ივანიშვილზე ამბობენ, ბრძენიაო და იმდენს ვერ ხვდება, რომ საკუთარ თავს ცუდს უკეთებს? თუ სპეციალურად აკეთებს ასე?

– მართალი გითხრათ, უკვე ვეღარ ვხვდები, რას ემსახურება ამ ადამიანის განცხადებები. ჩინჩალაძის კლანის თარეშს ის ადამიანები არ შეეგუებიან, ვინც საკუთარ ტყავზე იწვნია 9 წლიანი მმართველობის სისასტიკე.

ბატონი ბიძინა იმაზე რომ მელაპარაკება, შალვა შავგულიძე ნაციონალებთან წავიდაო, იმას რატომ არ ითვლის, რამდენი ნაციონალი ჰყავთ „ქართულ ოცნებაში“.

გულწრფელად გეუბნებით, არ მესმის, რატომ უნდა ამ ხელისუფლებას, რომ ხალხმა მძიმე განაჩენი გამოუტანოს.

– ხალხი გამოუტანს განაჩენს?

– გამოუტანს. სააკაშვილი მძიმე სოციალურ ფონს არ დაუმთავრებია, ის უსამართლობის გამო გაუშვა ხალხმა. იგივე მოხდა შევარდნაძის შემთხვევაშიც. ამის გამო ორი ხელისუფლება გავუშვით და კიდევ იმას გვეუბნებიან, უსამართლობას დავაკანონებთო. რატომ გვეჯინებიან და გვიჯიუტდებიან, არ მესმის.

ერთი ეჭვიც მაქვს ამ უცნაურ გაჯიუტებაზე – ჩინჩალაძის კლანის მიერ სასამართლო სისტემა უკვე დალაგებულია და „ოცნებას“ თავიდან ამ სისტემის აწყობა არ უნდა.

– რატომ არ უნდა? ამდენ ლანძღვას ხომ მაინც აიცილებდნენ თავიდან?

– სისტემა რომ დაალაგო, საქმის კეთება უნდა იცოდე. „ოცნებას“ ამის შნო არ აქვს. მაგათ მხოლოდ გაფუჭება იციან. არ გამოვრიცხავ, რაღაც სხვა ინტერესებიც იყოს.

გაიგოს „ქართულმა ოცნებამ“, რომ უსამართლობას არ შევეგუებით. ნაციონალებად და კაპიტან გიგაურის მიმდევრებად გამოცხადების შიშით ვერ გაგვაჩერებენ.

ბოლო დროს ხშირად ახსენებენ კაპიტან გიგაურს და იქნებ საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ მასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ორგანიზაციებთან როცა საუბრობენ, მაშინ გიგაური კარგია.

– ეს გიგაურის აუტანლობა როდიდან დაეწყოთ, მისი დაქალი თამარ ჩუგოშვილი არ უზით პარლამენტში პირველ ვიცე-სპიკერად?

– რატომ მარტო ჩუგოშვილი? სახალხო დამცველი ლომჯარიაც მისი მეგობარია. კაპიტან გიგაურს კიდევ იმიტომ მტრობენ, რომ მასთან საერთო ენა ვერ გამონახეს.

– რას გულისხმობთ?

– ხელისუფლება ეკა გიგაურთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, მაგრამ რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ. ისიც კარგად ვიცი, რომ მას სერიოზულ თანამდებობას სთავაზობდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში ვერ შეთანხმდნენ.

არასამთავრობოებთან დაკავშირებით „ოცნებას“ გაურკვეველი პოზიციები აქვს. როცა სჭირდებათ, ესენი ქვეყნის აღმშენებლები არიან, როცა უნდათ – დამაქცევრები.

„ოცნების“ სამლარიანი მომხრეები რომ გაჰკიოდნენ, გამოვა ბიძინა და ვიღაცებს თავებს დააყრევინებსო, ესაა თავების დაყრევინება? გამოვიდა და რეჟიმის მსახურებს გადაეფარა.

ამ თემას არ ეხება, მაგრამ ავლაბრის რეზიდენცია თუ ისევ პრეზიდენტის სასახლედ უნდა გადაექციათ, რას ერჩოდნენ გიორგი მარგველაშვილს? ამ სასახლეში შესვლის გამო არ გადაემტერა ივანიშვილი? ახლა რა გამოვიდა, ერთის მაგივრად ორი სასახლე გვექნება, ქალბატონი სალომე ერთ სასახლეში სტუმრებს მიიღებს, მეორეში – იცხოვრებს.

თუ ასე იყო საქმე, დარჩენილიყო ავლაბარში, რას გავარდა ათონელზე და მილიონები დაახარჯვინა ბიუჯეტს მის გასარემონტებლად. თურმე სტუმრების მისაღები ფართი არ არის ამ სასახლეში. ან ეგ გამაგებინა, რომელი სტუმრები ჩამოდიან ამასთან.

რა ორი სასახლე, ხალხო, ერეკლე მეფეს სულ რამდენიმე ოთახი ჰქონდა. არის ქვეყნები, სადაც საერთოდ არ აქვთ პრეზიდენტებს რეზიდენციები.

ქალს არავითარი ფუნქციები არ გააჩნია, წელიწადში ორი სიტყვა უნდა თქვას, იმასაც სწორად ვერ ამბობს და ორი სასახლე მომინდომა. 9 აპრილს ამ ადამიანმა რაც იკადრა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

– 9 აპრილს მან რამდენიმე უცნაურობა ჩაიდინა. თქვენ რომელი გაქვთ მხედველობაში?

– 9 აპრილს დაღუპულთა გვარები შეეშალა და თამრიკო ჭოველიძე საერთოდ არ ახსენა.

– ამაზე განმარტება ხომ გააკეთეს?

– მაგ განმარტების გაკეთებას დუმილი ჯობდა. შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის. შეგეშალა? გამოგრჩა? ბოდიში მოიხადე და ყველა გაგიგებს. ესენი კიდევ უსირცხვილოდ გადმოდიან შეტევაზე.

ამდენმა ოროსანმა როგორ მოიყარა ერთად თავი! კანონებს ესენი არ კითხულობენ, მწვანე და წითელი ღილაკები ეშლებათ. უკვე სერიოზულად მეშინია, ქალები კაცებში არ შეეშალოთ.

იმას, რაც ამ ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა 9 აპრილს დაღუპულების მიმართ იკადრა, ასე იოლად ვერ გავატარებ. რას ჰქვია გვარის გამორჩენა. ან რა უფლებით არ დაპატიჟეს ეკა ბეჟანიშვილის მშობელი.

– ვერ დავუკავშირდითო, ასე იმართლეს თავი.

– რას ჰქვია ვერ დაუკავშირდნენ. ვერ დამაჯერებენ, რომ ვერ დარეკეს. თუ ვერ დარეკეს, მაშინ მისულიყვნენ მის სახლში. ეკა ბეჟანიშვილი 15 წლის იყო, ჯერ სულ ბავშვი, როცა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაიღუპა. ესენი იმაზეც არ იწუხებენ თავს, რომ მის ოჯახს მიაკითხონ.

ასევე მაინტერესებს, როდემდე უნდა იყვნენ 9 აპრილს დაღუპულები სტატუსის გარეშე. ასე გაგრძელება უკვე ქვეყნის შეურაცხყოფაა.

– სტატუსის გარეშე ყოფნაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ეს ადამიანები სათანადოდ არ არიან დაფასებული. ისინი ქვეყნის დამოუკიდებლობას შეეწირნენ, ფაქტობრივად, მათი სისხლით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ეროვნულ გმირებად არ უნდა გამოვაცხადოთ? დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, მათ ეკლესიაც შერაცხავს წმინდანებად.

წარმოიდგინეთ, რანაირ ქვეყანაში ვართ, რომ სამშობლოსთვის დაღუპულებს არანაირი სტატუსი არ აქვთ. ვის რაში სჭირდება მაგათი მადლობა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთით მივმართო კახა კალაძეს, რა გახდა ლეილა ვეფხვაძისთვის ერთი პატარა ბინის ყიდვა? ეს ადამიანი არის ცოცხალი გმირი. ის 9 აპრილის სისხლიან დილას, მაშინ, როცა ტანკები და ნიჩბიანები ხალხის დასარბევად დაიძრნენ, მღეროდა. მისმა სიმღერამ იქ მყოფები გაამხნევა და საბრძოლო განწყობა გაუღვივა.

დიახ, ეს ქალი არის გმირი. ერთი წამით წარმოიდგინონ მის ადგილზე თავი. როგორია იმღერო მაშინ, როცა ჯარი მოდის და იცი, რომ ნებისმიერ წამს შეიძლება მოგკლან.

თავმოყვარე ქვეყანა რომ ვიყოთ, ამ გმირ ქალს ბინასაც მისცემდნენ და პენსიასაც დაუნიშნავდნენ. ის კი დღემდე მეტროში მათხოვრობით ირჩენს თავს.

ეს რა ქვეყანაა, ხალხო, თბილისის ცენტრში ბეჰემოტებს უდგამენ ძეგლებს და გმირები სტატუსის გარეშე ჰყავთ. ცოცხლად გადარჩენილ გმირს კი მეტროში ამათხოვრებენ. ეს არის ქვეყნის სირცხვილი და ხალხის შეურაცხყოფა.

გმირების დაფასების შნოც თუ არა გაქვთ, მაშინ გაჩუმდით მაინც და იმ ქალს ნუ ალაპარაკებთ. სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა არის საქართველოს შეურაცხყოფა.

ამ ქალს გარემოცვაც თავისნაირი ჰყავს, კაციშვილი არ ეუბნება, ასე ნუ იქცევიო. კარგი, აქ ვეგუებით მის სისულელეებს, ვბრაზდებით და ხან ვიცინით, მაგრამ იმაზე რატომ არ ვდარდობთ, რომ ის საზღვარგარეთ დადის ოფიციალური ვიზიტებით.

– ეს რატომ არის სადარდებელი?

– აქ ორ სიტყვას რომ სწორად ვერ ამბობს, რა გარანტია გვაქვს, რომ საზღვარგარეთაც სისულელეს არ იტყვის. ის ქვეყნის ხელისუფლებას წარმოადგენს და შეიძლება დიდ შარში გაგვხვიოს და თავი მოგვჭრას.

რატომღაც მგონია, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რათა ხალხის უდიდესი რისხვა გამოიწვიოს. მეშინია, იგივე არ მოხდეს, რაც სომხეთში მოხდა.

გახსოვთ ალბათ, 20 წლის წინ სომხეთის პარლამენტში შეიარაღებული პირები შევარდნენ, შესძახეს, გეყოფათ სომეხი ხალხის სისხლის სმაო და იქვე მიაცხრილეს პრემიერი, ვიცე-სპიკერი, დეპუტატები.

– იმედია, რომ საქართველოში ასეთი რამე არ მოხდება.

– ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ აშკარაა, რომ „ოცნება“ ხალხის გასამწარებლად ყველაფერს აკეთებს. და რა წაიღეს ამ ნაციონალებით მართლა ტვინი. დამნაშავეები თუ არიან, ადგნენ და გაასამართლონ. მეშვიდე წელია, ხელისუფლებაში არიან.

ნაციონალების სისხლიან დარბევებზე რომ მესაუბრებიან, მაგათ ვიცე-სპიკერმა, ჩუგოშვილმა, აუნთო მწვანე სააკაშვილს 26 მაისის დარბევაზე. ბევრს სთხოვა სააკაშვილმა ამაზე ნებართვა, მაგრამ კაციშვილი ვერ მონახა.

ჩუგოშვილი ისე გათავხედდა რომ პატრიარქი ჰომოფობად გამოაცხადა. ამაზე ბოდიშიც კი არავის მოუხდია. ეს რომელიმე ნაციონალს რომ გაეკეთებინა, ჯვარს აცვამდნენ.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ყველაფერი კეთდება ხალხის გასაღიზიანებლად. ასე მგონია, ივანიშვილს უნდა, რომ ხალხმა „ოცნება“ დაამხოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გუბაზ სანიკიძე: „რახან ივანიშვილს ქუჩის აქციების ეშინია, ქუჩაში გავალთ“

„ბიძინა და სალომე ქვეყნისთვის სახიფათოა... მათ ქეჩოში უნდა მოჰკიდო ხელი“

იაგო ნაცვლიშვილი

სამშაბათს, 9 აპრილს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ გავიდა. ინტერვიუ ხმაურიანი გამოვიდა. ივანიშვილმა ფარული ნაციონალები უწოდა ყოფილ პარტნიორებს – გია ხუხაშვილს, დავით უსუფაშვილს, გუბაზ სანიკიძესა და შალვა შავგულიძეს. უფრო მეტიც, შავგულიძე გირგვლიანის საქმის შეგნებულად არასწორი მიმართულებით წაყვანაში დაადანაშაულა, ხოლო მურუსიძე-ჩინჩალაძე ისევ მსხვერპლებად წარმოაჩინა. „ახალი თაობა“ ამ საკითხზე ივანიშვილის გზავნილების ერთ-ერთ მთავარ ადრესატს გუბაზ სანიკიძეს დაუკავშირდა, რომელსაც ივანიშვილის განცხადებების შეფასება ვთხოვეთ.

– ივანიშვილმა ინტერვიუში თქვენც გახსენათ და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერად მოგიხსენიათ. რა რეაქცია გქონდათ, როცა ეს მოისმინეთ?

– როგორც ჩანს, თან ძველი მხარდამჭერი ვარ. უნდა ვკითხო, როდიდან ვარ ნაცმოძრაობასთან შეკრული. შერეული, ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი რეაქცია მაქვს. თან მეცინება და თან შეშფოთებული ვარ. იმიტომ, რომ ეს კაცი ფსიქიკურად უკვე ავად არის. სახიფათოა ქვეყნისთვის. ეს ადამიანი უკვე მთელ საქართველოს დაუპირისპირდა. გაანჩხლებულია. თუ ოდნავ განსხვავებულს ვიტყვით, მიშისტად მოგვიხსენიებს. ეტყობა, ცეკას დადგენილება მიიღეს „ქართულ ოცნებაში“, ვინც გააკრიტიკებს ბიძინა ივანიშვილს, ის მიშისტად ჩაითვლება.

კიდევ ერთი რამე გავიგე გუშინ, რომ პირუტყვული შიში აქვს ქუჩის აქციების. გუშინ აბსოლუტურად ყველაფერი გამოაშკარავდა. ილაპარაკა, რისი შიში აქვს. ფაქტია, რომ 10 საათზე აღარ სძინავს. ისიც ფაქტია, რომ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“ უყურებს და ნერვიულობს. იმიტომ, რომ თავის თავს ხედავს ბაქარ ორჯონიკიძეში. ჩვენ ხომ არ ჩაგვთვლია ასე, თავად თქვა.

ლაპარაკობს, მდარე ხარისხის ქართული სერიალები გადისო და რომელი გადის? მხოლოდ ერთი გადის – ჩემი ცოლის დაქალები. იმას უყურებს, როგორც ჩანს. ჩემს გამოსვლებს უყურებს ყველას. ვერაფერი ვერ მოიფიქრა. ორჯერ ტროლებით იერიში მოიტანა ჩემზე, შეტევა იმაზე, რომ მიშისტი ვარ, მაგრამ აღარ ყოფნის ეს და უკვე თავად დაიწყო ლაპარაკი.

შალვა შავგულიძე თურმე გირგვლიანის საქმეს აფუჭებდა და მურუსიძეს თურმე ჭეშმარიტების დადგენა უნდოდა და შავგულიძემ ხელი შეუშალა.

– ხუხაშვილსა და უსუფაშვილზეც ილაპარაკა.

– საქმე ის კი არ არის, ბიძინა ივანიშვილი რას ფიქრობს, არამედ ჩვენ რას ვფიქრობთ. როგორ გავუშვათ ივანიშვილი ისე, რომ ქვეყანა არ დააქციოს. ცხადია, რომ ის ხელისუფლების დათმობას არ აპირებს არჩევნების გზით. თუ არჩევნებით არ აპირებს, მაშინ ის უნდა მოვუწყოთ, რისიც ყველაზე მეტად ეშინია. გავუშვათ უკეთეს შემთხვევაში სახლში და უარეს შემთხვევაში, როგორც ჩანს, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. გიჟია უკვე.

– შევეცადოთ, რომ მაინც შევინარჩუნოთ კორექტულობა.

– რატომ? ადამიანის სულიერ დაავადებაში რა არის?! ჭკვიანი ადამიანი ლაპარაკობდა გუშინ, გონებადამჯდარი ადამიანი ლაპარაკობდა?! კაცი ჩემზე რომ იტყვის მიშისტიაო, ეს ნორმალურია? ამას ამბობს კაცი, რომელიც 8 წელი აფინანსებდა სააკაშვილს. სამკურნალოა, გეუბნებით.

– აპირებთ, რომ რისი შიშიც აქვს მას, ის გამოიყენოთ და გახვიდეთ ქუჩაში?

– აბა რას ვიზამ. გავიგე, რომ ეშინია ქუჩის აქციების, გადასარევი ამბავია. მე კიდევ, როგორც თევზი წყალში, ისე ვგრძნობ თავს ქუჩაში. სხვამ იკითხოს, კაბინეტებში რომ არიან შეკეტილები.

გუშინ თავის ჭკუაში მთელ სამყაროს გადაუარა. ახლა მთელი სამყარო გადაუვლის მას. მივაჩერდებით, როგორ დააქცევს ამ ქვეყანას და როგორ ჩააბარებს ამ ქვეყანას?! ცხოველური შიშებით შეპყრობილი კაცია.

– შეშინებული, პირიქით, მიხეილ სააკაშვილს უწოდა.

– რა ვიცი, რაც უნდათ ის უწოდონ ერთმანეთს. ჩემი თვალებით რასაც ვხედავ და ჩემი ყურებით რასაც აღვიქვამ, იმას გეუბნებით. ბიძინა არის შიში ვითარცა უხორცო, გიორგი პირველია. უშიშარია. ახლა სერიალებს დაიწყებს, საქართველოს ისტორიაზე გადაიღებს ფილმს, მაგალითად, 301-ე. 301-ე იცით რატომ? 300 არაგველი კი არ იყო 301 იყო, უბრალოდ, ერთი მძიმედ დაიჭრა და გადარჩა, ეს იყო ბიძინა ივანიშვილი. გადაიღებს დიდგორის ბრძოლას, სადაც ის 200 მხედარში იქნება. ქუჯი ერისთავზე და ფარნავაზზე ფილმს, სადაც მესამე პირად ეგზის. ეგ ხომ თავმდაბალი კაცია და ისტორიაში თავი ინკოგნიტოდ დატოვა. დავით აღმაშენებელს გიორგი ჭყონდიდელი კი არ ზრდიდა, არამედ ბიძინა ივანიშვილი. ამ ფილმებს გადაიღებს. მაგისთვის ფული აქვს, რეჟისორები არ აკლია. რასაც შეუკვეთავს, იმას გადაიღებენ. არაკორექტულია ჩემი საუბარი?!

– ვცდილობ, რომ მაინც რაღაცნაირად ეთიკის ნორმებში იყოს ინტერვიუ.

– ჩვენ ვეცადოთ, ეს ქვეყანა როგორ გადავარჩინოთ გარეკილი კაცისგან. ამაზე ვიზრუნოთ. ჩემი აზრი კი აღარ არის მნიშვნელოვანი, არამედ თქვენი, თქვენ რას ფიქრობთ.

– ეს რა პოლიტიკაა, როდესაც ქვეყნის მმართველები ყველას მტრად აცხადებდნენ, ვინც მათ უპირისპირდებიან. ივანიშვილმა არა თუ ძველი პარტნიორები, არამედ ბესელია და მისი პარტნიორებიც კი ნაცმოძრაობასთან გააიგივა.

– ყველაფერს პასუხი ეცემა. რა შეკითხვებიც დამისვით და რაც შეიძლება დამისვათ, ყველაფერს პასუხი ეცემა ერთი პასუხით – ეს კაცი არის უკვე ფსიქიკურად აშლილი. ფსიქიკურად აშლილობის პირველი შედეგი არის ალოგიკური მსჯელობა. მიზეზ-შედეგობრიობას როცა ვეღარ აკავშირებს ადამიანი. შეიძლება დროებითი მოვლენაა, შეიძლება უკვე კლინიკაც არის. შეიძლება უმკურნალოს ვიღაცამ და გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს.

აქ უკვე ჟურნალისტებმა ფსიქიატრებს უნდა დაურეკოთ და არა პოლიტიკოსებს.

– სალომე ზურაბიშვილზეც უნდა გკითხოთ. მას მოუვიდა იაღლიშები. რას იტყვით ამაზე?

– არაფერი. ისინი არ არიან მართალი ქართველ ხალხთან და ამიტომ, ბუნებრივია, რომ შეცდომებს დაუშვებენ უკვე. 21-ვეს სახელს და გვარს ვერც ერთი ვერ ჩამოგითვლით, მაგრამ თამრიკო ჭოველიძე ამის სიმბოლო იყო. შეიძლება თქვენ პატარა ხართ და არ გახსოვთ, მაგრამ მაშინ ასე იყო. ერთ-ერთმა რუსმა დისიდენტმა დაწერა თამარ ჭოველიძეზე სიმღერა.

– აქ კიდევ ის იყო მნიშვნელოვანი, რომ ბოდიშის მოხდის მაგივრად, უცნაური განმარტება გააკეთა პრეზიდენტმა.

– გამოვიდა გამოთაყვანებული ლაშა ჟვანია და ტექნიკური შეცდომა მოხდაო. ამ ქალს არ აქვს უნარი... პარანოიკები არიან ეგეც და ივანიშვილიც. პარანოიის ნიშანია, რომ არაფერში დამნაშავე არ ხარ. სალომე ზურაბიშვილი არის ადამიანი, რომელსაც არც ბოდიშის მოხდის უნარი აქვს, არც სინანულის და არც მონანიების. ხომ შეიძლებოდა გამოსულიყო და ეთქვა, რომ მაპატიეთ, ხალხო, შეცდომა მომივიდაო.

– შემდეგ დაწერა განმარტება სოციალურ ქსელში.

– სოციალური ქსელი თავისთვის შეინახოს. არა სოციალურ ქსელში, არამედ იქვე უნდა მომხდარიყო. ზვიად გამსახურდიას რომ დაამხობ და 30 წლის შემდეგ იტყვი, რომ მართალი არ ვიყავი, ეგ აღარ ითვლება. სალომე ზურაბიშვილი ჩვეულებრივი ტროლია.

– ყველაზე საინტერესოა, რომ სოციალურ ქსელშიც არ მოუხდია ბოდიში და პირიქით, ვინც აკრიტიკებდა, ის ხალხი დაადანაშაულა და თქვა მიედ-მოედებითო. ეს რაზე მიანიშნებს?

– ეს ორი ავადმყოფია – ბიძინა და სალომე. ეს ორი ფსიქიკურად დაავადებული ქვეყნისთვის სახიფათოა. არაკორექტული კი არა, ქეჩოში უნდა მოჰკიდო ხელი. იმიტომ, რომ ქვეყანაზეა ლაპარაკი. ჩვენს საერთო საცხოვრებელზე, ჩვენსა და ჩვენი შვილების სამშობლოზე, ჩვენი წინაპრების საფლავებზე. პოლიტიკა აღარ არის, დამთავრდა უკვე. ქვეყანას მართავს სულიერად დაავადებული გიჟი. მორჩა და გათავდა. გიჟი იჯდა გუშინ სტუდიაში.

ჟურნალისტიც ხომ ვიცით, როგორი „პრინციპულია“. ბიძინას ჩვეულებრივი მონაა, მაგრამ ისიც გაკვირვებული ისმენდა, რასაც ივანიშვილი ამბობდა. ადამიანი რომ იტყვის, შალვა შავგულიძემ გააფუჭა გირგვლიანის საქმე და მურუსიძეს უნდოდა სამართალიო, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?! საკამათოდ გვაქვს რამე?

– ამ თემაზე ნამდვილად არ ვკამათობ.

– მორჩა და გათავდა, ე. ი. ერთ ბანაკში ვართ.

„სოლოლაკის სასახლეს ალყაში მოვაქცევთ“

გიორგი გუგავა: „ქართველები ამაყი ხალხი ვართ და ოლიგარქის მონობა არ გვეკადრება“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 11 აპრილს, ლეიბორისტები და ტაქსის მძღოლები ბიძინა ივანიშვილთან აპირებენ სტუმრობას. მშრომელთა პარტიამ ქვეყნის არაფორმალური მმართველის სახალხო მძევლად აყვანა რამდენიმე კვირის წინ დააანონსა. აქედან გამომდინარე მთავარი მეოცნებე მომზადებული დახვდება აქციას.

გაუქრობენ თუ არა ხელისუფლებას ტაქსების ბაზრის ხელში ჩაგდების სურვილს, ვისგან უნდა დავიცვათ საქართველო და რას არ იმსახურებს ქართველი ხალხი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრება.

გიორგი გუგავა:

– დღეს, 11 აპრილს, ლეიბორისტული პარტია ტაქსის მძღოლებთან ერთად ვესტუმრებით ივანიშვილს. მსვლელობა დაიწყება აღმაშენებლის ხეივნიდან. 14.00 საათზე აგრარული უნივერსიტეტის წინ, ეკლესიასთან გავმართავთ საპროტესტო აქციას და შემდეგ რუსთაველის გავლით, მივადგებით ივანიშვილს. მის შუშის სასახლეს მანქანებით დავარტყამთ ალყას.

თბილისში ათეულობით ათასი ტაქსის მძღოლია. ისინი ტაქსაობით ირჩენენ თავს და არჩენენ ოჯახებს. ყველა მათგანი მიბმულია კრედიტზე, ცალკე ამის გადახდაც უწევთ.

იმ რეგულაციების დაწესებით, რის დაწესებასაც კახა კალაძე აპირებს, შეიძლება ეს ადამიანები უმუშევრად დარჩნენ. რაც სოციალურ კატასტროფას გამოიწვევს.

ხელისუფლება ამ რისკზე იმიტომ მიდის, რომ მავანმა საკუთარი კომპანია შექმნას და ტაქსების ბაზარი სრულებით დაიკავოს. ამით მავანი დამატებით მილიონებს ჩაიჯიბავს. მათ სულ არ აინტერესებთ, რომ ათასობით ადამიანი სარჩო-საბადებლის გარეშე დარჩება.

– ეს ხელისუფლება ხალხთან ჯერ არანაირ დათმობაზე არ წასულა. ამ შემთხვევაში წავლენ დათმობაზე? იმისთვის, რომ რაღაც დაათმობინოთ, ალბათ ბევრი ხალხი უნდა გამოიყვანოთ. შეძლებთ ამას გაკეთებას?



– წესით ძალიან ბევრი ადამიანი უნდა გამოვიდეს. ჩვენ ტაქსის მძღოლებთან ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს და ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელ დღეშია ეს ხალხი. მათ უკან დასახევი გზა ფაქტიურად არ აქვთ. ისინი ფაქტიურად არსებობისთვის იბრძვიან. ბევრ მათგანს დასვენების დღეც კი არა აქვს, 24 საათის განმავლობაში მუშაობენ.

ამ ადამიანებს პირიდან აცლიან ლუკმას და იძულებულს ხდიან, რომ არსებობისთვის იბრძოლონ. ამ ბრძოლაში ჩვენ მათთან ერთად ვიქნებით.

– ტაქსის მძღოლები მართლა მძიმე დღეში არიან, მაგრამ საკითხავი ისაა, ყველა გამოვა თუ არა აქციაზე?

– მაგას ვერ გეტყვით, რაც მეტი ხალხი გამოვა, მით უფრო მალე მივაღწევთ შედეგს. იმ მომენტისთვის, როცა ჩვენ ამ ინტერვიუს ვწერთ, საინიციატივო ჯგუფი მერიაში მართავს შეხვედრას. იმედია, რომ კალაძეს ჭკუა ეყოფა და დათმობაზე წავა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან დიდ წინააღმდეგობას მიიღებენ.

თუ ძალიან გაჯიქდებიან და გაჯიუტდებიან, სოციალური მოთხოვნები უკვე პოლიტიკურში გადაიზრდება.

– ტაქსებზე ვსაუბრობთ და ამოტრიალებულ მანქანებზე მინდა გკითხოთ, რომელიც თბილისში გამოჩნდა. ეს სოციალური კამპანიის ნაწილია, მაგრამ საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. თქვენ რას ფიქრობთ ამ იდეაზე?

– ეს არის უკიდურესი სიქაჯე და მეტი არაფერი. ასეთ რამეებს რუსეთში აკეთებდნენ და ისიც მრავალი წლის წინ. ქალაქი ისედაც სიკვდილით არის სავსე და აქ ამოტრიალებული მანქანების დაყენება, კიდევ უფრო ამძიმებს ფონს.

სოციალურ კამპანიას თუ ატარებენ, ტრიდე ბანერების განთავსება შეუძლიათ. ასეთი ბანერები იქ უნდა დადგან, სადაც მოჭარბებულია ავარიების რიცხვი. ამ ჯართის გროვებმა კი შეიძლება საპირისპირო შედეგი გამოიღოს.

ქალაქის ცენტრში ჯართის გროვების დახვავებით, კალაძემ კიდევ ერთხელ გამოაჩინა თავისი ბრიყვული სახე.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„9 აპრილი დამოუკიდებლობის დღედ უნდა გამოცხადდეს“

გულიკო ბალაძე

როდის უნდა იზეიმოს საქართველომ დამოუკიდებლობის დღე – 9 აპრილს თუ 26 მაისს? ამ საკითხზე „ახალი თაობა“ რამდენიმე ადამიანს ესაუბრა.

დიდუბის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დეკანოზი მამა იაკობი ამბობს, რომ 9 აპრილი დამოუკიდებლობის დღეც არის.

– 3-წლიან დამოუკიდებლობას გვაზეიმებენ, 9 აპრილს გამოცხადებულ დამოუკიდებლობის აღდგენას კი იგნორირებას უკეთებენ. 26 მაისიც აღსანიშნავია, მაგრამ რომელ დამოუკიდებლობის აქტზეც დგას ჩვენი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ღირსება, იმ დღის იგნორირება არ შეიძლება.

1991 წლის 9 აპრილი არის ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე. მათ კი მხოლოდ 9 აპრილის გმირების გლოვის დღედ გვიქციეს. თან ამბობენ, ეკლესიას არ დაუჯერეს, ეკლესიაში არ შევიდნენო. თვით პატრიარქი ამბობს, რომ მათთვის არ უთქვამს, დაიშალეთო. პატრიარქი ამბობს, ვთხოვე, წავიდეთ ქაშვეთში და ვილოცოთო.

მოწამეობრივი გზა თვითონ აირჩიეს. ისე, როგორც შუშანიკმა აირჩია მოწამეობრივი გზა. მოძღვარმაც ურჩია შუშანიკს, სხვა გზა მოეძებნა თავის მეუღლესთან ურთიერთობაში, მაგრამ მან მოწამეობრივი გზა აირჩია. 9 აპრილის გმირები ეკლესიის მიერ ბრწყინვალე მოწამეებად უნდა იქნან შერაცხული.

9 აპრილი უნდა იყოს არა მხოლოდ გლოვის, არამედ დამოუკიდებლობის დღე, რადგან ამ გლოვას და ამ ღვაწლს ქვეყნის დამოუკიდებლობა მოჰყვა. თვით იმპერიის დასასრულიც ამ დღემ დაიწყო.

– რატომ არ ხდება ამ დღის იმგვარად გააზრება, რომ აღიარებულ იქნას დამოუკიდებლობის დღედ?

– ძალიან კარგად არის გააზრებული. ნებისმიერი ხელისუფლება, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, არალეგიტიმური იქნება. როდესაც მოხდება 1991-92 წლებში მომხდარი გადატრიალების, ძმათამკვლელი ომის შეფასება, მაშინ დაფასდება მათი ღვაწლი. მათი ღვაწლი ჯეროვნად არ არის შეფასებული, არ არის შეფასებული გადატრიალების ფაქტი. სწორედ ამის გამო სახეზეა ეს სიყალბე.

❖ ❖ ❖

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნინო ნიშნიანიძის აზრით, 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა.

– საოცარი დღე იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. ასეთი თარიღი არ ყოფილა 1918 წლის 26 მაისის შემდეგ. ძალიან საინტერესო პარალელი გაავლო მაშინდელმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, როდესაც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ამაზე კარგი დღე პირადად ჩემს ცხოვრებაშიც არ ყოფილა, მე არ ვიყავი დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი, არ ვიყავი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, თუმცა, უზენაესი საბჭოს სხდომას ვესწრებოდი.

– სხდომის დარბაზში იმყოფებოდით?

– დიახ, დარბაზში ვიმყოფებოდი. მაშინ უზენაეს საბჭოში ვმუშაობდი და ამაზე ამაღელვებელი წუთები ჩემი ცხოვრების ისტორიაში არ არსებობს. ძალიან კარგია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით. ამით გამოიხატა უწყვეტი ნება.

დღეს თუ ჩვენ გაეროსა და ევროკავშირში ჩვენი ყოფნით თავს ვიწონებთ, ამის საძირკველი და საფუძველი გახლდათ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმი და მის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებული დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

სარეფერენდუმოდ გამოტანილი კითხვაც პირველი რესპუბლიკის მიერ მიღებული აქტის მემკვიდრეობის გაგრძელებას გამოხატავს. 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერნი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერთა მემკვიდრედ იქცნენ.

– დღესაც ამბობენ, ზვიად გამსახურდია პოლიტიკოსი არ იყოო.

– სწორედ ზვიად გამსახურდიას სწორი პოლიტიკური ჭვრეტის მაჩვენებელია ის, რომ მან ჩაატარა რეფერენდუმი და მის შედეგებზე დაყრდნობით აღადგინა დამოუკიდებლობა. მე ძალიან მიყვარს პირველი რესპუბლიკის მესვეურნი. პირველმა რესპუბლიკამ, რომელმაც 1918-21 წლებში იარსება, ძალიან დიდი სტიმული მისცა 9 აპრილს. პირველმა კონსტიტუციამ უშუალო დემოკრატიის ფორმა ჩადო, შვეიცარიული მოდელი, რომ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ არჩევნებისა და რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი ხელისუფლებაში მოსვლა.

სწორედ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურმა ალღომ დიდი კვალი დააჩნია ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებას. მან აირჩია საპარლამენტო გზა, არჩევნების გზა, მან აირჩია ხალხის მმართველობა. ამ აქტებს შორის ძალიან დიდი დროის წყვეტაა, მაგრამ მან უწყვეტობა 31 მარტის რეფერენდუმით შეძლო.

დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი ადამიანები მაშინ სიკვდილზე მიდიოდნენ. მათი სახელები პარლამენტის წინ უნდა ამოიტვიფროს.

❖ ❖ ❖

კახა კუკავა ამბობს, რომ 9 აპრილის გლოვის დღედ გამოცხადება იმ პროცესის ნაწილია, რომელიც დაიწყო 1992 წელს.

– ამით უახლეს ისტორიაში ზვიად გამსახურდიას როლს ჩქმალავდნენ, რაც ბევრი უცნაური ფორმით ხორციელდებოდა. მაგალითად, წლების მანძილზე კოსტავას აქებდნენ, ზვიადზე კი, უკეთეს შემთხვევაში, არ ლაპარაკობდნენ, ხანდახან აგინებდნენ კიდევაც. გამოსავალი იპოვეს და ეს დღე გლოვის დღედ გამოაცხადეს. ადრე ამბობდნენ, პატრიარქს რომ არ დავუჯერეთ, იმიტომ მოხდა, რაც მოხდაო.

წელს საეტაპო წელია. წელს პირველად დაყარეს იარაღი პროპაგანდისტული თვალსაზრისით. წელს პირველად აღიარეს ზვიად გამსახურდიას როლი დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ზვიად გამსახურდიას სახელს წელს პირველად მოეხსნა ტაბუ. მის როლს აღიარებენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები.

– 9 აპრილის დამოუკიდებლობის დღედ გააზრება ხდება?

– გააზრებას კიდევ რამდენიმე წელიწადი დასჭირდება. მთავარია, ზვიად გამსახურდიას სახელის მიჩუმათება აღარ ხდება. რამდენიმე წლის წინ, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის დარქმევის მოთხოვნისთვის, სახელმწიფო აპარატი დაგვიპირისპირდა. წელს იარაღი დაყარეს. ივანიშვილმა მთაწმინდიდან უთხრა, შენ ზუგდიდში წახვალ, შენ იქ წახვალ, შენ აქ წახვალო. ის მთაწმინდიდან მართავდა პროცესს.

– ბიძინა ივანიშვილმა ახადა ტაბუ?

– დიახ, დაამარცხა ისინი, მის წინაშე ქედი მოიხარეს. ამიტომ 3-4 წელიწადში 9 აპრილსაც კანონმდებლობით მიენიჭება ის სტატუსი, რაც ეკუთვნის.

– კანონმდებლობაში 9 აპრილის სტატუსი არ წერია?

– კანონმდებლობით 9 აპრილი არის არა დამოუკიდებლობის დღე, არამედ ეროვნული ერთიანობის დღე და მსხვერპლთა ხსოვნის დღე. დამოუკიდებლობის დღე კი 26 მაისია.

❖ ❖ ❖

რაზე ვერ თანხმდება „ქართული ოცნება“? „ახალი თაობა“ დეპუტატ **გედი ფოფხაძეს** ესაუბრა, რომელიც 9 აპრილს ღამეს პარლამენტის წინ იმყოფებოდა.

– ბატონო გედევან, სახელისუფლებო ფანჯრებიდან 9 აპრილი როგორ ჩანს?

– ახლა უმრავლესობას აღარ წარმოვადგენ.

– უმრავლესობაში ხომ იყავით?

– 9 აპრილი გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურის მსხვერპლი გახდა. არის ისტორიული რეალობა, რომელსაც ვერ გაექცევი – 9 აპრილს ერმა დააფიქსირა თავისი ურყევი ნება და მსხვერპლი გაიღო, რომ შემდეგ მომხდარიყო დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს ემოციური და ისტორიული ბმა თავგანწირვასა და დამოუკიდებლობის გამოცხადებას შორის ძალიან ლოგიკური იყო. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ეს აისახა. ზვიად გამსახურდიამაც განაცხადა, რომ ეს დღე დამოუკიდებლობის აღდგენისთვის საგანგებოდ იყო შერჩეული.

შემდეგ ვისაც უნდოდა, პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, ეს ისტორიული ბმა ამოეგდო, ყველაფერი ისე წარმართეს, ვითომ დამოუკიდებლობის აღდგენა უფრო ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი იყო და გადაგვისროლეს 26 მაისში, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ 26 მაისი 1991 წელს საკანონმდებლო ორგანომ იურიდიულად გამოიყენა რეფერენდუმის ჩასატარებლად, რათა დამოუკიდებლობა აღედგინა 26 მაისის აქტის საფუძველზე. შემდეგ დამოუკიდებლობა გამოცხადდა რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე.

ვიღაცას უნდა, საქართველოს ისტორიიდან 2-3 წელი ამოაგდოს და სახელმწიფო გადატრიალებაში თანამონაწილეობა გაამართლოს. ამიტომ სამართლებრივი ჯაჭვი არ შეიძლება გაწყდეს. ასეთი რამ ქვეყანაში არ შეიძლება ხდებოდეს. ეროვნული ერთიანობის საფუძველი შეიძლება იყოს ყველაფრის გათავისება და გააზრება. მათ შორის, იმ ცოდვების, რომელთაც ჩვენ ჩავდივართ.

თუ ადამიანი არ იტყვის, რომ რაღაც შეეშალა, როდესაც ავტომატით ხელში ეროვნულ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა, ის ეროვნული ერთიანობის თანამონაწილე ვერ გახდება. შევარდნაძის ხელისუფლება ისე წავიდა, ეს მორალური ბარიერი ვერ გადალახა.

– ბარიერი ვერც სააკაშვილმა გადალახა.

– რაღაც დონეზე ისინი გადატრიალების თანაზიარები ხდებოდნენ, რადგან იმ გადატრიალების თანაზიარნი იყვნენ არა მარტო ადამიანები, არამედ ფსევდოლიბერალური იდეოლოგიაც, რომელიც ეროვნულ იდეას უპირისპირდებოდა. ფსევდოლიბერალური იდეოლოგია თავს ესხმოდა ეროვნულ იდეოლოგიას.

ამ თავდასხმას ახორციელებენ ფსევდოლიბერალური ძალები. მათთან რაღაც დონეზე თანხვედრაში მყოფი ხელისუფლება ვერ ელევა მოკავშირეობას იმ ძალებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების დამხობაში.

– ამ ვითარებაში დღეს რა უნდა გაკეთდეს?

– ჩვენი პირველი ამოცანაა, ეროვნული იდეა ვაღიაროთ. ეს სახელმწიფოებრივად უნდა იყოს განსაზღვრული, რაც ყველაფერს დაალაგებს, ზვიად გამსახურდიას ისტორიული როლის სწორ აღიარებასაც გამოიწვევს.

პოპულისტური მიზნებით არ უნდა მოხდეს ზვიად გამსახურდიასთან ბმა, როცა შენ გაწყობს ზვიად გამსახურდიაზე კარგის თქმა, რადგან პოლიტიკურად გაკოტრდი. როცა პოლიტიკურად ფეხზე დგახარ, მაშინ უნდა გააკეთო სწორი არჩევანი ეროვნული იდეის სასარგებლოდ. თუ ასეთ სიტუაციაში მოხდება ზვიადის ისტორიული როლის სწორად აღიარება, ყველაფერი მოწესრიგდება.

– შიგნით ხელისუფლებაში თუ შესწრებიხართ საუბრებს ამ საკითხზე, ან თუ უმსჯელიათ?

– ხელისუფლება არ არის ერთგვაროვანი პოლიტიკური სუბიექტი. ხელისუფლების შიგნით განსხვავებული განწყობებია. იქ არიან ეროვნული იდეის ადამიანებიც და ისეთებიც, რომლებიც შეიძლება ეროვნულთან თავისი აზროვნებით ახლოს არიან, მაგრამ პერსონალური პრობლემები აქვთ.

– პერსონალური პრობლემები რას ნიშნავს?

– ვთქვათ, იმ პერიოდში არ იყვნენ სწორ პოზიციაზე. შემდეგ ეს წინააღმდეგობები ხელისუფლებას ხელს უშლის. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები ხელს უშლის სწორი იდეოლოგიური გადაწყვეტილების მიღებაში და იწყებს ბალანსის დაცვას სხვადასხვა იდეოლოგიებს შორის.

იქით ლიბერალებს დაუძახებ, აქეთ – კონსერვატორებს. როცა ცდილობ, ყველას თავი მოაწონო, არავისგან მოწონება არ გამოდის. როცა ეროვნული ხელისუფლება იქნება, რომელსაც მყარი იდეა ექნება, სალაპარაკოც აღარაფერი დარჩება.

დღეს ხელისუფლებაში იმაზეც ვერ შეთანხმდნენ, „ქართული ოცნება“ არის ცენტრისტული, მემარჯვენე, მემარცხენე, ლიბერალური თუ კონსერვატიული მიმართულების. წინა პერიოდში პრემიერი მემარჯვენე ჰყავდათ, პარტია კი სოციალისტებში იყო.

„ქართული ოცნება“ უნდა ჩამოყალიბდეს, მას რა უნდა. მე ვიცი, რომ ქართველ ხალხს სჭირდება ეროვნული ხელისუფლება. თუ ჩვენ გვეყოლება ეროვნული ხელისუფლება, ის სწორად შეაფასებს ზვიადის როლს. სწორად განსაზღვრავს ეკლესიასთან და მართლმადიდებლობასთან ქვეყნის დამოკიდებულებას და სწორ საგარეო ორიენტირებს დაადგენს.

დღეს გაურკვევლობაში ვართ. ეს გაურკვევლობა კი ბევრ თანმდევ ცუდ შედეგს იწვევს.

– თქვენ თქვით, პოპულისტური მიზნებით არ უნდა აღიარო გამსახურდიას დამსახურებაო. რა იგულისხმეთ?

– ძალიან არ მომწონს, როცა ზვიადის სახელით სპეკულირებენ.

– ვინ სპეკულირებს?

– არიან ადამიანები, რომლებიც ზვიად გამსახურდიასთან ორგანულად არიან კავშირში თავისი პოლიტიკური ღირებულებებით. არიან ადამიანები, რომლებსაც რაღაც ეტაპზე სჭირდებათ ზვიადის სახელის გამოყენება.

ეს არის სპეკულირება ისტორიული პიროვნებებით. მაშინ, როდესაც შენ ძალიან შორს ხარ იმ ღირებულებებისგან, რომლებისთვისაც ზვიად გამსახურდია იბრძოდა, მისი სახელის გამოყენება ძალიან არასწორია.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

„სოროლაკის სასახლეს ალყაში მოვაქცევთ“

– თქვენ გვითხარით, რომ ხელისუფლება თუ გაჯიქდება, სოციალური მოთხოვნები პოლიტიკურში გადაიზრდებაო. 13 აპრილს „დაიცავი საქართველო“ ივანიშვილის წინააღმდეგ პოლიტიკურ აქციას მართავს. ამ აქციას თუ შეუერთდებით?

– საქართველო ვინმესგან თუ უნდა დაიცვა, ესენი არიან ისინი, ვინც მაგ შეკრებას ხელმძღვანელობს. ეს ადამიანები იყვნენ მხედრიონთან, სააკაშვილთან, შევარდნაძესთან, ივანიშვილთან და ახლა ახალი ნახტომისთვის ემზადებიან.

საქართველოს წინსვლა თუ გვინდა, ასეთი მედროვეებისგან უნდა დაიცვათ ჩვენი ქვეყანა. ასეთ ხალხს თუ მოვაშორებთ პოლიტიკას, მაშინ მესიებად და კერპებად შერაცხული ოდიოზური მმართველები აღარ გვეყოლება.

ივანიშვილისგან მესია და მხსნელი მათ შექმნეს. ახლა ისინი „დაიცავი საქართველოს“ ამოეფარნენ და სინამდვილეში საკუთარ კეთილდღეობას იცავენ.

– საქართველოს დამცველები, რომლებმაც ივანიშვილი მესიად წარმოაჩინეს, ივანიშვილს ბოლო გამოსვლაში შემოელანძღა. ამაზე რას გვეტყვით?

– თავად ივანიშვილის გამოსვლას ნუ შემაფასებინებთ. ეს იყო უმძიმესი რამე. ეს განცხადებები ფსიქიატრებმა უნდა შეაფასონ და გააანალიზონ.

– თქვენ ფსიქიატრიასთან კავშირი არ გაქვთ?

– არანაირი და ამიტომ გამოსვლას ვერ შევაფასებ. რაც შეეხება იმას, რომ ყოფილი თანამებრძოლები გააკრიტიკა, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ოლიგარქს ვეთანხმები. „ოცნებიდან“ წამოსულები მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

მაინტერესებს, რაღა მაშინ გადაწყვიტეს საქართველოს დაცვა, როცა ივანიშვილთან პრობლემები შეექმნათ. აქამდე სად იყვნენ? ვერ ხედავდნენ, რომ საქართველო იღუპებოდა? 70.000 ბავშვი შიმშილობს და ხმას არ იღებდნენ. 500 სოფელი სრულად დაიცალა და არც კი იმჩნევენ. ქვეყანა თავზე დაგვამხეს და ვითომ არაფერი.

მხოლოდ მაშინ მოინდომეს საქართველოს დაცვა, როცა პირადად მათ კეთილდღეობას შეექმნა საფრთხე.

მათი დაცული საქართველო არავის სჭირდება. საქართველოს ის ხალხი დაიცავს, ვინც სხვისი მონა არასდროს ყოფილა. ამ ქვეყანაში ამაყი და ძლიერი ხალხი ცხოვრობს. ამ ხალხს, ისევე, როგორც თავად ქვეყანას, დიდი და საამაყო წარსული აქვს. ქართველები ამაყი ხალხი ვართ და ოლიგარქის მონობა არ გვეკადრება.

დავით ჭიჭინაძე: „შემოდგომისთვის ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს? რამდენადაც თქვენ იცნობთ, როგორ გაიგეთ, რა არის დღეს მისი პოზიცია? ოპოზიცია ამბობს, რომ შეშინებულია, ხელისუფლება – პირიქით, ქვეყნის პრობლემებსა და მის გადაჭრის გზებზე საუბრობდაო.

– შეშინებას ნამდვილად ვერ დავაბრალებდი. მე რაც დავინახე, არის ის, რომ ამ ადამიანს აქვს თავისი გეგმა, რომლის განხორციელებასაც ის ცდილობს. თუმცა, ეს გეგმა, ჩვენს საზოგადოებასთან და იმ გამოწვევებთან, რაც ჩვენს ქვეყანაში არის, რამდენად თანხვედრაშია, ეს უკვე მეორე საკითხია.

2012 წელს ბიძინა ივანიშვილის გეგმა, ზრახვები, მიზნები ნამდვილად ემთხვეოდა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს და ამოცანებს. დღეს, მე მიმაჩნია, რომ ივანიშვილის გეგმები საკმაოდ აცდენილია ხალხის გეგმებსა და ინტერესებს.

– რა გეგმაა ეს?

– მე ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი მხარდაჭერა ძალაუფლებაში გაცვალა. აქედან გამომდინარე ის ცდილობს, მაქსიმალურად გააკონტროლოს ქვეყანაში ხელისუფლების ყველა შტო. ეს კარგად გამოჩნდა სასამართლო ხელისუფლების დაკომპლექტების დროს. თუმცა, რატომღაც დაივიწყა, რომ ძალაუფლების მთავარი წყარო ხალხია.

– მას მიაჩნია, რომ მურუსიძე-ჩინჩალაძე მსხვერპლები იყვნენ.

– ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ასე ნამდვილად არ თვლის. წამოწევა ხდება იმ მოსამართლეების, რომელთა მიმართაც ხალხში ნდობა არ არის. ძალიან ცუდი იყო, რომ მთელი ნახევარი საათი მურუსიძისა და ჩინჩალაძის ადვოკატობას მოანდომა. ეს ჩემთვის ყველაზე გაუგებარი და შეურაცხმყოფელი იყო. ეს არ არის მისი საქმე, ის მთავარი პოლიტიკური ფიგურაა, მმართველი პარტიის თავმჯდომარეა და სხვას ელოდება მისგან ხალხი და არა მურუსიძის დაცვას. მის გვერდით იდგა ქართველი ხალხი და არ ჯობდა ამ ხალხზე ელაპარაკა, ვიდრე მურუსიძეზე?! ვინ ურჩია, ვისი აზრი გაითვალისწინა?! სად პოულობენ ამ ხალხს?! მთელი ნდობა გაფლანგა.

– ღია კარის მტვრევას უწოდებს ის გუნდიდან ოთხეულის გასვლას და მისი თქმით, ისინი ნაციონალური მოძრაობის თამაშს თამაშობენ. მართლაც ღია კარის მტვრევაა?

– შიგნით დიდი დისკუსია მიდიოდა. ერთ რაღაცაში ვეთანხმები, მართლაც ძალიან დიდი საშუალება მისცა, რომ თავიანთი პოზიციები დაეფიქსირებინათ და დაეცვათ. რაღაცაზე ვერ შეჯერდნენ. რა პოზიციებზე ვერ შეთანხმდნენ, ეს დეტალები კონფიდენციალურად მიდიოდა და მათ უკეთესად იციან, ვიდრე მე.

დღეს „ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ მძიმე სიტუაციაა. მმართველ პარტიაში არსებული რეალობის არ შეფასება და ამაზე თვალის დახუჭვა, მე ვფიქრობ, რომ სწორი არ არის.

– ივანიშვილი თვალს ხუჭავს არსებულ რეალობაზე?

– ასე გამოდის. ის რეალობა, რაც შიგნით არის, არ არის აღწერილი. თუ ასეთი ანალიზი იქნება, იმიტომ მიდიან გუნდიდან ადამიანები, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან არიან ან მათ თამაშს თამაშობენ, ამან შეიძლება ცოტა ხნით იმუშაოს, მაგრამ მერე უკვე ეს „ქართულ ოცნებას“ ბუმერანგივით მოუტრიალდება და კარგს არაფერს არ მოუტანს. დღეს „ქართული ოცნება“ უფრო არის ნაციონალებით გავსებული, ვიდრე ეს ოდესმე იყო.

– ბატონო დავით, ივანიშვილმა თქვა, როდესაც ზარდიაშვილი დაინახეს სიაში, რატომ არ გააპროტესტესო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, 2016 წელს ვანო ზარდიაშვილ როგორ მოხვდა საარჩევნო სიაში?

– მე რაც ვიცი, არის ის, რომ ვანო ზარდიაშვილი ისნის რაიონში უნდა ყოფილიყო მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მე-10 ოლქში (მე, მე-9 ოლქის მაჟორიტარი ვარ), მაგრამ მთელი პარტია ფეხზე დადგა და ამას მხარი არ დაუჭირა, პირიქით, გააპროტესტა და ის ვერ გახდა ისნის მაჟორიტარი. პარტიამაც, რაიონულმა ორგანიზაციამაც ყველაფერი გააკეთა, რომ ზარდიაშვილი მაჟორიტარი არ ყოფილიყო, ის სიით გავიდა.

– სიაში ვისი რეკომენდაციით მოხვდა?

– ეს არ არის ჩემი პრობლემა თუ ვინ ჩააკვეხა სიაში, ამაზე თვითონ ისაუბრონ. ამაზე „ქართულმა ოცნებამ“ იდარდოს. რაც ვიცი, ის არის, რომ პარტიამ მაჟორიტარად გააპროტესტა და მის მაგივრად მერე ბექა ნაცვლიშვილი დააყენეს.

– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ივანიშვილი პრობლემურად არ განიხილავს, პრობლემას ის სხვა რამეში ხედავს. მართლაც შეიძლება ადვილად მოიგონ?

– ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლებისთვის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არ იქნება ადვილი გასეირნება. ასე ეგონა „ქართულ ოცნებას“, რომ 2018 წლის არჩევნებიც მარტივი გასეირნება იქნებოდა, მაგრამ მწარედ შეცდნენ. ასეთი რიტორიკით, სიმართლე გითხრათ, საერთოდ ვერ მივლენ არჩევნებამდე.

– რას გულისხმობთ?

– გუნდი ჩამოეშლებათ. თუ ზარდიაშვილისა და მურუსიძის იმედად არიან რომ მივლენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. არჩევნებში ვერც ზარდიაშვილი უშველით, ვერც კობახიძე და ვერც მურუსიძე-ჩინჩალაძე, არჩევნების ბედს ხალხი წყვეტს. მე მაინც ვფიქრობ, რომ შუალედური არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება.

– რატომ წააგებენ არჩევნებს? მაგალითად, მთაწმინდის არჩევნები ერთგვარ ტესტად არის შეფასებული.

– მე ვთვლი, რომ ივანიშვილის ჩართულობა არ იქნება იმ შედეგის ადეკვატური, რაც შუალედურ არჩევნებზე იქნება. ეს კი მოიტანს იმას, რომ პროცესები ძალიან გაღრმავდება და „ოცნებას“ 2020 წლის არჩევნებამდე მისვლა გაუჭირდება. დღეს ხელისუფლებას ერთადერთი, რაც შერჩა, ეს არის ბიძინა ივანიშვილის თავდაჯერებულობა, მაგრამ თუ შუალედურ არჩევნებში ნახავენ, რომ ესეც აღარ არის და არაფერს არ შველით, მაშინ ეს უკუშედეგს მოიტანს, დეზორიენტაციას გამოიწვევს. შუალედურ არჩევნებზე არ იქნება ის შედეგი, რასაც პირადად ბიძინა ივანიშვილი ელოდება. მე ამას ხალხის განწყობებიდან გამომდინარე ვსაუბრობ.

– ბატონო დავით, ინფორმაცია ვრცელდება, რომ „ქართული ოცნება“ შეიძლება კიდევ რამდენიმე დეპუტატმა დატოვოს. საუბარია რომან კაკულიასა და ლევან კობერიძეზე. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– ახლა რომ გესაუბრებით, რომან კაკულიაც გვერდით მიზის და ლევან კობერიძეც. მე ვერ გეტყვით, რას აპირებენ ისინი, მაგრამ საკმაოდ შეშფოთებულები და დაფიქრებულები ნამდვილად არიან, რადგან ისინი ღირსეული ადამიანები არიან. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ „ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე ღირსეული დეპუტატი არის და ისინი ამ ყველაფერს კრიტიკული თვალით უყურებენ. ამ ადამიანებს, ქართველი საზოგადოების წინაშე თავისი პასუხისმგებლობა გათვითცნობიერებული აქვთ და უარს არ ამბობენ ამაზე.

– როგორ ფიქრობთ, 19 მაისის არჩევნები გუნდში უფრო დაძაბავს მოვლენებს თუ პირიქით, „ოცნება“ ამას გადააგორებს?

– ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისშია, ეს რეალობა შემოდგომისთვის კიდევ უფრო დამძიმდება. მთავარი პოლიტიკური ფიგურა როდესაც უსამართლობის გამართლებას მთელი ნახევარი საათი ცდილობს, გასაგებია, რომ ისიც ხვდება, რაღაც ისე ვერ არის. ამიტომ, ვთვლი, რომ აქედან გამოსავალი მხოლოდ ვადამდელი არჩევნებია.

ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში უამრავი ფინანსური და სხვა დარღვევა აღმოაჩინეს

მარიამ მჭედლიშვილი

გალის რაიონში ოკუპირებული რეგიონის კონტროლის პალატა შემოწმებებს აგრძელებს, თუმცა, აღმოჩენილი დარღვევები ისეთი მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანია, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ შუალედური დასკვნა უკვე გაახმიანა. მოძიებული მასალებით თუ ვიმსჯელებთ, გალის რაიონში ან დამოუკიდებელი და იმავდროულად დოტაციური მმართველობაა, ან მის ხელმძღვანელობას ყველაფრის უფლება მიეცა.

ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონი ბოლო წლებში დანარჩენი საქართველოს ყურადღების ცენტრში ხვდებოდა ქართველების უსტატუსობის, ჩაგვრის გაძლიერებისა და შევიწროების, ასევე დახოცვის გამო.

გალის ქართული სკოლები, ფაქტობრივად გადაყვანილი არიან რუსულად სწავლებაზე. გარკვეული ხნის წინ გაცხადდა, რომ გალელების ნაწილი აფხაზებად ეწერება. გალის რაიონის გამგებელი ნადარაია ამას ეროვნების აღდგენას უწოდებს. დაახლოებით ერთი წლის წინ გალის გამგებელმა ომი გამოუცხადა არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამის შედეგად ჩაშალა სპორტული და კულტურული აქტივობა, რომელშიც გალელ ბავშვებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

გალის ადმინისტრაციის უფროსი თემურ ნადარაია ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ აცხადებდა, რომ გალი აფხაზეთის ყველაზე მშვიდი რეგიონია და რუსული ბაზების წყალობით იქ კრიმინალის თარეში აილაგმა. რაიონში გაკეთდა განათება და გზები. ერთადერთ პრობლემად იგი უმუშევრობას ასახელებდა და დასძენდა, რომ ამასაც მალე ეშველებოდა.

კონტროლის პალატამ შეამოწმა ბიუჯეტის შესრულება და ხარჯების მიზნობრიობა. კონტროლის ობიექტი გახდა რაიონის ფაქტობრივად ყველა სფეროს სამსახური და რგოლი, მათ შორის, ადმინისტრაცია, საფინანსო განყოფილება, სარემონტო-სამშენებლო დაწესებულება, რაიონის საავადმყოფო, სოფლების ადმინისტრაციები.

შემოწმებაში მონაწილეობდნენ როგორც ეკონომისტი ინსპექტორები, ისე იურისტები.

დადგინდა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში სრული უთავბოლობაა: წარმოებს როგორც საბიუჯეტო, ისე კომერციული აღრიცხვა; გადასახადების ამოღება არ მიმდინარეობს სათანადო დონეზე; არ არის აღრიცხული სახელმწიფო საკუთრება; გაურკვეველია ინდმეწარმეების რაოდენობა.

ყველაზე დიდ დარღვევად დასახელებულია საბუღალტრო აღრიცხვის უქონლობა. დოტაციური რაიონი იღებს თანხებს „საპრეზიდენტო“ ფონდიდან. არის მისი აუთვისებლობის შემთხვევები. რაიონის ადმინისტრაცია ტყის ფონდიდან უკანონოდ გამოყოფს ნაკვეთებს.

რაიონში არსებული სამსახურებისა და სამმართველოების სიმრავლე ბიუროკრატიის სიჭარბით ცნობილი სოხუმისთვისაც გასაკვირია. საბიუჯეტო სამსახურების უფროსები იურიდიული პირები არიან, რაც ეწინააღმდეგება ოკუპირებული აფხაზეთის კანონმდებლობას.

„სახელმწიფო მმართველობის“ ორგანოები გალში მიჩნეული არიან აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებად.

გალის რაიონი თვითონ დოტაციურია, მაგრამ თანხებს რიცხავს ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა ჟურნალისტთა კავშირი და აფხაზეთის სახალხო პარტია.

კონტროლის პალატის დასკვნით, გალის ადმინისტრაციამ ფული ზეიმებისთვისაც გამოყო. მაგალითად, 30 სექტემბრის „გამარჯვების“ დღის, 9 მაისის გამარჯვების დღისათვის, ასევე გაგრის „გათავისუფლებისათვის“.

წესით, გალში აღმოჩენილი დანაშაულისა და არეულ-დარეულობისათვის ადგილობრივ ადმინისტრაციას პასუხი უნდა აგებინონ.

მარტო ადმინისტრაციის შეცვლით იქ მცხოვრები ქართველების ყველა პრობლემა ვერ მოგვარდება, მაგრამ მათდამი ცინიკური დამოკიდებულება მაინც შეიძლება შეიცვალოს.

„ჩემი შვილი როგორი მასხრად ასაგდებია, ვანახებ კახიაშვილსაც, ასანიძესაც და ჯანჯღავასაც“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მათ პირადად დავსჯი, თუ სახელმწიფო არ დასჯის“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრის, დიმიტრი ლორთქიფანიძის შვილი, ძალოსანი თათია ლორთქიფანიძე ძალოსან ქალთა ეროვნული ნაკრებისა და თბილისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს თემურ ჯანჯღავას სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს.

„ახალი თაობა“ დიმიტრი ლორთქიფანიძეს ესაუბრა.

– ბატონო დიმიტრი, რა ხდება თათია ლორთქიფანიძესთან დაკავშირებით? როგორ ვითარდებოდა მოვლენები?

– თქვენ რომ შტანგისტი იყოთ, სანტექნიკი გავარჯიშებდეთ და ტრავმებს იღებდეთ, ხომ გაგიჩნდებოდათ სამართლიანი პროტესტი? მიუხედავად ყველაფრისა, თათია ორ შეკრებაზე იყო. მათ შორის, დუშეთში ასანიძის შეკრებაზე. თათიასა და თემურ ჯანჯღავას შორის არსებული კონფლიქტის ამოწურვის მიზნით მოილაპარაკეს, რომ თათიას გია ასანიძე ავარჯიშებდა. თუმცა, ერთ კვირაში, მოულოდნელად, ასანიძემ განაცხადა, რომ ქალთა შეკრება გამოეყოფოდა საერთოდ და ის რუსთავში თემურ ჯანჯღავას თაოსნობით ჩატარდებოდა, ანუ მიღწეული შეთანხმება დაირღვა.

– რატომ?

– არ ვიცი. თათია მაინც გაემგზავრა რუსთავში და, სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო – მან მიიღო ტრავმა ფეხის სახსარში, რაც დაადასტურა ტატიშვილის კლინიკამ. ფაქტია, რომ ტრავმა თათიამ ჯანჯღავას შეკრებაზე მიიღო.

გარდა ამისა, ქალთა შეკრების ხარჯი ორჯერ შეამცირეს, ცხოვრობდნენ ახალ რუსთავში, სავარჯიშოდ კი ძველ რუსთავში დადიოდნენ. ფასტფუდით იკვებებოდნენ, რამაც შეკრების ყველა მონაწილეზე ძალიან ცუდად იმოქმედა, თათიამ 4 კილოგრამი დაიკლო, საკვები იყო უვარგისი (ამ ფაქტს ყველა ადასტურებს). სპორტსმენები საკვებს და ხილს სუპერმარკეტში საკუთარი ხარჯით იმატებდნენ.

– სხვა ქალი ძალოსნებიც მონაწილეობდნენ?

– დიახ, მაგრამ თათიას გარდა, დანარჩენი 3 ქალი ახალბედა იყო და მისგან განსხვავებული დატვირთვა ჰქონდათ. ვარჯიშის სტანდარტი ვერ უზრუნველყოფდა თათიას მოთხოვნებს მთავარი მწვრთნელის არაკვალიფიციურობის გამო.

– არაკვალიფიციურობა რაში გამოიხატება?

– მას შტანგასთან არავითარი შეხება არ ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ ასანიძის ქვისლი და ნდობით აღჭურვილი პირია, ქალთა ეროვნული ნაკრები და თბილისის ნაკრები ჩააბარეს.

ამასთანავე, თემურ ჯანჯღავა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მაია რჩეულიშვილს 7 წელი მიუსაჯეს

ნონა ცაბაძე

„ცენტრ პოინტის“ საქმის „მიონის“ ეპიზოდზე მაია რჩეულიშვილს 7 წლიანი პატიმრობა მიესაჯა. მოსამართლემ მაია რჩეულიშვილი და ქეთევან ჟორდანია დამნაშავედ ცნო. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვთ წარდგენილი, რაც თაღლითობას გულისხმობს.

„ახალი თაობა“ მაია რჩეულიშვილის ადვოკატ მარინე ცუცქირიძეს ესაუბრა.

მარინე ცუცქირიძე: „საპროცესოს გაფორმების იმედს არ ვკარგავთ“

– ქალბატონო მარინე, მაია რჩეულიშვილის ადვოკატები ოჯახთან ერთად საპროცესო შეთანხმებაზე მუშაობდით და მაიას და რუსუდანის ციხიდან გამოსვლის იმედი გქონდათ. ეს მოლოდინები უკან დარჩა?

– თავიდან წელიწადნახევარი დავკარგეთ იმაზე, რომ ემ კვადრატს ველოდებოდით. იმედი გვქონდა და უკვე შეთანხმებული ვიყავით, რომ ემ კვადრატი უნდა შემოსულიყო, ბოლოს კი ემ კვადრატმა უარი გვითხრა. ახლა არ დასრულებულა საპროცესო შეთანხმებაზე საუბარი. უბრალოდ, ერთიანად რომ წაიღონ ეს ყველაფერი, ისეთი ინვესტორი რადგან არ გამოჩნდა, შევთანხმდით, რომ ცალ-ცალკე ობიექტზე ცალ-ცალკე ინვესტორი უნდა იყოს მოძიებული და ისე უნდა გაკეთდეს საპროცესო შეთანხმება. ისევ მოლაპარაკების რეჟიმში ვართ.

– მაშინ რატომ გამოუტანეს განაჩენი და მიუსაჯეს 7 წელი?

– უბრალოდ, მოსამართლეს ჰქონდა თავისი ვადა. ხომ არის საპროცესო ვადები. ამ შემთხვევაში ეს საქმე რადგან იყო არასაპატიმრო საქმე, ამის საპროცესო ვადა იყო ორი წელი და ეს ორი წელი უკვე დასრულდა და, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა მოსამართლეს, უნდა გამოეტანა განაჩენი.

– მხოლოდ მაია რჩეულიშვილს მიესაჯა? ქეთევან ჟორდანიაც ხომ იყო ამ საქმეში ბრალდებული?

– ქეთევან ჟორდანიასთან გააფორმეს საპროცესო შეთანხმება. ცალკე გამოკვეთეს საქმე და იქ არ იყო პრობლემა და ამიტომ გააფორმეს საპროცესო შეთანხმება. ხოლო მაია რჩეულიშვილთან ჯერჯერობით ვერ გაფორმდა საპროცესო. თუმცა ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ საბოლოოდ მოძიებული იქნებიან ინვესტორები, ნაწილი უკვე ნაპოვნია და როდესაც პროკურატურა დაინახავს, რომ რეალურად არსებობენ ინვესტორები, მაია რჩეულიშვილთანაც გააფორმებენ საპროცესო შეთანხმებას.

– ჯამში რამდენი წელი აქვს მისჯილი მაია რჩეულიშვილს?

– პირველ საქმეზე აქვს მისჯილი 4 წელი. ივლისში გახდება უკვე 3 წელი, რაც იხდის სასჯელს. რაც მოხდილი აქვს სასჯელი, ამ 7 წელიწადში ისიც ჩაეთვლება და უნდა მოიხადოს ის, რაც დარჩენილია. თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ არ მოუწევს ამის მოხდა.

– თუ ვერ გააფორმებთ საპროცესო შეთანხმებას, კიდევ 4 წელი მოუწევს ციხეში ყოფნა?

– უნდა გაფორმდეს. ფაქტია, გვაჩვენა ამ სამმა წელმა, რომ მაიას და რუსუდანის ციხეში ჯდომით არაფერი არ გაკეთდა, პირიქით, გაუარესდა. მათი ციხეში ჯდომით დაზარალებულების მდგომარეობა არანაირად არ გამოსწორებულა, პირიქით, გაუარესდა.

სახელმწიფო უნდა დაგვეხმაროს, ხელი შეუწყოს ინვესტორებს, ცოტა შეღავათიანი პირობები შესთავაზოს, რათა დაინტერესება იყოს, დროულად გადაეცეს მათ ობიექტები და დასრულდეს. ასე ეშველებათ დაზარალებულებს, თორემ მაია რჩეულიშვილი იჯდება თუ არა ციხეში, ამით ამ ადამიანების ბედი არ იცვლება.

– ბოლო წუთს რატომ თქვა ემ კვადრატმა უარი, რაზე ვერ შეთანხმდით? სახელმწიფომ არ შეუწყო ხელი?

– ვერ შეთანხმდნენ მერიასთან, რაღაც წინააღმდეგობებს წააწყდნენ, მათ თავისი შეხედულებები ჰქონდათ და ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ნებართვები იყო საჭირო, ხელშეწყობა. ვერ დაინახა ემ კვადრატმა ეს მზაობა და გვერდში დგომა და ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ვერ გაბედა და ვერ აიღო ყველა ობიექტი ერთად.

– თავად მაია რჩეულიშვილი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, წინა სხდომაც მისი არგამოცხადების გამო გადაიდო. რატომ არ მივიდა? რატომ არ ისარგებლა ბოლო სიტყვით?

– ეს მორალურად ძალიან რთულია. ციხის საავადმყოფოში იმყოფება, მკურნალობის კურსს გადის და არ არის მარტივი, გამოხვიდე სასამართლო სხდომაზე და ისაუბრო, ისარგებლო ბოლო სიტყვით. მორალურად ეს ძალიან რთულია ადამიანისთვის.

– ისევ არასახარბიელოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– ახლა რომ გითხრათ, მაია რჩეულიშვილი ძალიან კარგად არის-თქო, ამას თქვენც არ დაიჯერებთ. სანამ ეს პრობლემები არ მოგვარდება, ოჯახის წევრებიდან ვერავინ იქნება კარგად.

– ისევ მკურნალობის კურსს გადის?

– დიახ, ის ისევ ციხის საავადმყოფოშია. მედიკამენტური მკურნალობა უტარდება.

– რუსუდან კერვალიშვილის შესახებ რას გვეტყვით, მას რამდენი წელი აქვს მისჯილი? მასაც ხომ არ ემატება რამე?

– ქალბატონი რუსუდანი მსჯავრდებულია მხოლოდ ერთ საქმეზე, სადაც 4 წელი აქვს მისჯილი. სხვა რამე საქმე მის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს და სხვაგან არსად არ არის ის ცნობილი არც ბრალდებულად, არც ეჭვმიტანილად. მას სასჯელის ნახევარზე მეტი უკვე მოხდილი აქვს.

– შეწყალების საკითხის დაყენება არ გიცდიათ მასთან დაკავშირებით?

– ქალბატონ რუსუდანს არ სურს შეწყალება.

– რატომ არ თვლის თავს დამნაშავედ?

– თავს დამნაშავედ არ თვლის და ამისთვის არსებობს ძალიან ბევრი მიზეზი. ამ მიზეზებზე ქალბატონმა რუსუდანმა თავად ისაუბრა. ფაქტია, რომ პრობლემა არსებობს, ამ პრობლემას ბევრი მიზეზი ჰქონდა, თუნდაც სახელმწიფოს და კიდევ ბევრი ადამიანის გვერდში არდგომა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დამნაშავეები მარტო ეს ქალები აღმოჩნდნენ.

ამ კუთხით გარკვეული პროტესტი არსებობს. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი საპროცესო შეთანხმებაა, თუ მთავრობა და პროკურატურა ზრუნავს დაზარალებულებზე, სახელმწიფო უნდა დაგვეხმაროს ინვესტორების მოძიებაში, რათა განახლდეს მშენებლობები.

თუ მარტო იმით შემოიფარგლა სახელმწიფო, რომ მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი ციხეში ჩასვა, ეს არის კიდევ ერთი კლასიკური მაგალითი იმისა, რომ სახელმწიფო დაზარალებულებზე კი არ ზრუნავს და პრობლემის გადაჭრა კი არ უნდა, უბრალოდ, ზერელედ აჩვენა ხალხს, რომ მათზე ზრუნავს, ეს ორი ქალბატონი ჩასვა ციხეში და პრობლემას დაამატა.

რაც აშენებული იყო, ისიც ნადგურდება. მთლიანად გაიძარცვა კორპუსები. გამოძიებულიც არ არის, ვინ გამოიძიებს ამას?! თუ ასე მივყევით, აგურებად დაიშლება ეს კორპუსები და ეს დაზარალებულები კიდევ უფრო დაზარალდებიან. ამიტომ, თუ მართლა ფიქრობენ ხალხზე, სულ სხვა მიდგომა უნდა იყოს.

– რას ამბობენ თავად დაზარალებულები?

– მათი პოზიცია შეიცვალა, ისინი აღარ არიან აგრესიულად განწყობილნი მაიას და რუსუდანის მიმართ, როგორც ეს თავიდან იყო. ოფისში მოდიან და თავადაც აქტიურად არიან ჩართული ინვესტორის მოძიებაში. მაქსიმალურად გვეხმარებიან, როგორც შეუძლიათ. მიხვდნენ, რომ ამ ქალების ციხეში ჯდომით მათ არ ეშველებათ.

3 წელია, რაც მაია და რუსუდანი ციხეში არიან და ამ ხნის მანძილზე დაზარალებულების სასიკეთოდ არაფერი გაკეთებულა. ეს ხალხიც მიხვდა იმას, რასაც მე სამი წლის წინ ვამბობდი, რომ ამ ქალების ციხეში ჩასმა მათ მდგომარეობას, პირიქით, გააუარესებდა.

დასაწყისი მე-5 გვერდზე

„ჩემი შვილი როგორი მასხრად ასაგდებია, ვანახებ კახიაშვილსაც, ასანიძესაც და ჯანჯღლავასაც“

ცუდად ექცეოდა თათიას, აყენებდა მას შეურაცხყოფას. ეს ფაქტი წერილობით და ზეპირად თათიამ და მისმა პირადმა მწვრთნელმა გელა მახარაშვილმა, არაერთგზის დაუფიქსირეს ფედერაციის პრეზიდენტ კახი კახიაშვილს, რომლისგანაც ამ სავალალო ფაქტებს რეაგირება არ მოჰყოლია.

ტრავმის გამო, რომელიც თათიამ რუსთავში მიიღო, მკურნალობის კურსი ჩაიტარა. შემდეგ თათია და მისი პირადი მწვრთნელი გელა მახარაშვილი შეხვდნენ კახი კახიაშვილს და კატეგორიული უარი განაცხადეს არაკვალიფიციურ ე.წ. მთავარ მწვრთნელთან ვარჯიშის გაგრძელებაზე. ასევე შეათანხმეს საკითხი, რომ საწვრთნელ ვარჯიშს მარტის თვეში თბილისის მძლეოსნობის მანეჟში გაივლიდნენ.

ბატონ კახიაშვილის მოთხოვნით, ამ დროს თათიამ ჩაბარა საერთაშორისო დოპინგ ტესტი და დაფიქსირდა, რომ სუფთაა. გადაწყდა, ვარჯიში გაგრძელდებოდა თემურ ჯანჯღლავას გარეშე და ჩემპიონატამდე გარკვეული დღეებით ადრე თათია თავის მწვრთნელთან ერთად ჩავიდოდა ბათუმში.

3 აპრილს, სრულიად შემთხვევით, რადიო „აფხაზეთის ხმაში“, ჟურნალისტ ტატო ნიკურაძის ჩართვაში, გია ასანიძეს ვუსმენდი. მან დასმულ კითხვაზე, გეგმავენ თუ არა ქალებს შორის მედლებს, განმარტა, რომ მედლები არ იგეგმება, რადგან ნაკრების შემადგენლობა დებიუტანტებითაა დაკომპლექტებული. რა თქმა უნდა, იმ წამსვე წავედი განათლების სამინისტროში, შევხვდი მინისტრის მოადგილეს სპორტის დარგში შალვა გოგოლაძეს, ვალაპარაკე ის თათიას პირად მწვრთნელს გელა მახარაშვილსაც.

გოგოლაძემ სიტყვა სიტყვით განაცხადა, რომ ის ახლა დაუკავშირდა ფედერაციას ბათუმში, იქ მას განუცხადეს, რომ ელიან თათიას და მის მწვრთნელს 4 აპრილს, არავითარი წინააღმდეგობა მათი მხრიდან თათიას არ შეხვდება, ის იასპარეზებს. ამის შემდეგ, საქმის კურსში ჩავაყენეთ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც. მანაც დაგვიდასტურა, რომ თათიას პრობლემები არ შეექმნებოდა.

ის იყო, მატარებლის ბილეთი ავიღეთ, რომ გელამ მიიღო კახი კახიაშვილის სმს შეტყობინება – „გელა, მარტო ჩამოდი, თათიას გარეშე“. 4 აპრილს გელა ჩავიყვანე ჩემი მანქანით. ზუსტად 4 საათი ილაპარაკა კახიაშვილმა სხვადასხვა თემებზე, ღამის 12-ზე კი განაცხადა, თათიას ვერ დავუშვებთ 10 აპრილის შეჯიბრზე, რადგან დისციპლინის დარღვევაში ედება ბრალიო.

ვერიფიკაცია დილით 9-ზე უნდა შემდგარიყო. ამის შემდეგ ჩვენ გამოვიძახეთ პოლიცია სასტუმრო „კოლიზეუმში“ და შევადგენინეთ რეაგირების ოქმი, ყველა ფაქტის მითითებით.

– განაცხადეთ, რომ თქვენს შვილს ქალთა ნაკრების მწვრთნელი თემურ ჯანჯღლავა ცუდად ექცეოდა. რაში გამოიხატებოდა ცუდად მოქცევა?

– ის, რაც აქამდე გითხარით, ამ საქმის წინაისტორია იყო. ახლა მე გავიგე ახალი გარემოება, რომელსაც პირადი მწვრთნელი გელა და ჩემი შვილი არ მიმხელდნენ. ამაზე ჩემთან ლაპარაკი ერიდებოდათ, რცხვენოდათ. ფაქტობრივად, სექსუალური შევიწროების ფაქტია. თურმე ნუ იტყვით და თათიას ორსულობაში შეუტანიათ ეჭვი ფედერაციის პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს, გელა მახარაშვილისთვის დაუწერინებიათ ხელწერილი, რომ ის არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ თათია ორსულად არ არის. თქვენ წარმოგიდგენიათ, რაზეა ლაპარაკი საერთოდ?

– ეს რას ნიშნავს? ქალებს ავიწროვებენ?

– ეს არის დისკრიმინაცია, მასხრად აგდება, ბულინგი.

– ორსულობა საიდან მოიგონეს?

– ორსულობა ხომ მოიგონეს. გარდა ამისა, თემურ ჯანჯღლავა თათიასთან ოთახში შესულა და უთქვამს (ამის თქმაც კი მერიდება), 25 წლის გოგო ხარ, უკვე დიდი ხარ და მეგობარი კაცი გჭირდება, ჰორმონების მომძლავრება გაქვსო. ეს არის წუთმხრწნელობა. ამას ჰქვია გათახსირებული კაცი, რომელიც, ჩემი აზრით, ციხეში უნდა იჯდეს.

– ასეთი განწყობები რატომ არის ძალოსანთა ფედერაციაში?

– არ ვიცი. ალბათ იმიტომ, რომ აქამდე ქალთა ნაკრები არ არსებობდა. ახლა შეიქმნა და თათია შემოვიდა ამ სპორტის სახეობაში. ეტყობა იმის გამო, რომ ქალები არ უნახავთ ამდენი ხანი ამ სპორტში, გადაწყვიტეს, ქალები მასხრად აიგდონ. ჩემი შვილი როგორი მასხრად ასაგდებია, მაგას ვანახებ კახიაშვილსაც, ასანიძესაც და თემურ ჯანჯღლავასაც. თუ სახელმწიფო მათ არ დასჯის, სამივეს მე პირადად დავსჯი.

ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ეს დაპირისპირება ასეთ მასშტაბებს მიიღებდა. დიდი ხანია დაპირისპირება არსებობს იმის გამო, რომ თემურ ჯანჯღლავას მწვრთნელის კვალიფიკაცია არ გააჩნია. მას შტანგასთან ცხოვრებაში შეხება არ ჰქონია. ეს ადამიანი არის ასანიძის ქვისლი. ამიტომ ეს საქმე ისტორიაში შევა, როგორც ქვისლების საქმე.

ქვისლებმა გადაინაწილეს მთელი ფუნქციები – ერთი არის ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, მეორე არის საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თბილისის ქალთა ნაკრებისა და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი ასისტენტი.

ყველაფერს აკონტროლებენ. ისინი ჩადიოდნენ უკანონობას ჩემი შვილის წინააღმდეგ. დისკრიმინაცია სახეზეა. დისკრიმინაციის ერთ-ერთი გამოხატულება ისაა, რომ ჩემმა შვილმა ბათუმის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღო.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ყველაფერი თქვენი პიროვნების გამო ხდება.

– ასანიძეს არ აწყობდა, რომ ჩემი შვილის სახით (სადაც ჩემი შვილია, ბუნებრივია, წარმოიდგენდა, რომ იქ მეც ვარ) მას ჰყოლოდა მაყურებელი იქ არსებული სიტუაციისა.

– რა ხდება ძალოსნობის ფედერაციაში?

– ის ხდება, რომ ფედერაციაში ნეპოტიზმია. ფედერაციაში მიმდინარე განუკითხაობას პატრონი არ ჰყავს. სამწუხაროა, რომ სპორტული ფედერაციები გარდაიქმნენ მიკრო იმპერიებად, რომელთაც, სამწუხაროდ, ვერ აკონტროლებს ვერც აღმასრულებელი ხელისუფლება, განათლებისა და სპორტის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და ვერც პარლამენტი. ვერც აუდიტის სამსახური შედის ფინანსური მონიტორინგისთვის. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ შემთხვევას, როცა აუდიტის სამსახური შესულა სპორტულ ფედერაციებში.

– რატომ ვერ შედიან?

– იმიტომ, რომ ძალოსნობის ფედერაცია არის ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ანკლავი, რომელსაც ახალი ხელისუფლების მოსვლამ ვერაფერი დააკლო. პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერა და ხელშეუხებლები არიან. როგორც ჩანს, ისე გათამამდნენ, ერთი პატარა გოგოს გაბრიყვება სცადეს.

– რას მიიღებენ, ვანახებო. შეგნებული ბულინგი იყო?

– აბსოლუტურად შეგნებულად აბულინგებდნენ, რათა თათია მიეყვანათ იმ ზომამდე, სპორტიდან წამოსულიყო. მერე ადგნენ და მექანიკურად ჩახსნეს ევროპის ჩემპიონატიდან.

2020 წელს იაპონიაში, ტოკიოში გაიმართება ოლიმპიადა, რომელშიც თათია ვეღარ მიიღებს მონაწილეობას იმის გამო, რომ იქ მონაწილეობის პოზიტიური პირობა იყო ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა.

– ე.ი. გამოდის, მთელი სპორტული კარიერა დაუნგრიეს?

– თათიას მთელი სპორტული კარიერა დაუმთავრეს. ეს არის უბედურება.

– რას აპირებთ?

– ვაპირებ მივმართო სასამართლოს, მანამდე გავიარო ყველა ინსტანცია სახალხო დამცველის ჩათვლით, რადგან ადგილი აქვს სექსუალური შევიწროების ფაქტს.

ბაჩანა შენგელია სარჩელის შეტანას სტრასბურის სასამართლოში გეგმავს

ზუგდიდის მეექვსე საჯარო სკოლის გარდაცვლილი დირექტორის ია კერზაიას შვილი ბაჩანა შენგელია სარჩელის შეტანას სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გეგმავს.

როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საქართველოს პროკურატურამ არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები და მას რეალური შედეგის იმედი აღარ აქვს.

– 4 თვე გავიდა იას გარდაცვალებიდან და არავითარ ქმედითი და კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს პროკურატურას არასამთავრობოების დასკვნებისა და სხვა გარემოებების მიუხედავად. ამიტომაც ვიწყებთ სარჩელის მომზადებას სტრასბურის სასამართლოში წარსადგენად და პარალელურად, ვიმუშავებთ სხვა მიმართულებებითაც.

ამასთან, ძალაში რჩება ჩემი მოთხოვნა განათლების მინისტრისა და საქმეში ჩართული ყველა პირის გადადგომასთან დაკავშირებით, – ამბობს ბაჩანა შენგელია.

ია კერზაია 2018 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა.

კერზაიას შვილი ბაჩანა შენგელია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას მასზე განხორციელებულ პოლიტიკურ ზეწოლას უკავშირებდა.

ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლაში ჩატარებულ ინსპექტირებასთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ჯეკ შეფარდი დიდ ბრიტანეთს გადასცეს

ჯეკ შეფარდის წინასაექსტრადიციო პროცედურები დასრულდა. ბრიტანეთის მოქალაქე ქართველმა ესკორტის პოლიციელებმა ბრიტანეთის პოლიციის წარმომადგენლებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გადასცეს.

შეფარდის აეროპორტში გადაყვანა გასაიდუმლოებულად მოხდა.

თბილისთან სატვირთო ავტომობილი ამობრუნდა



რუსთავი-თბილისის ავტობანზე სატვირთო ავტომობილი ამობრუნდა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა 1 პირი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

თელავში 2 მანქანა ერთმანეთს შეეჯახა

თელავში 2 მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავებულია 2 არასრულწლოვანი, რომლებიც მრავლობითი მოტეხილობებით საავადმყოფოში არიან მოთავსებულები.

ექიმების თქმით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

პროკურატურასთან ლევან ჯიქურმა თავის დანვა ცადა

გუშინ, 10 აპრილს, მთავარ პროკურატურასთან ქურდობაში ბრალდებულმა მამაკაცმა თავის დაწვა ცადა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანომ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე წუთში გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები ქურდობაში ბრალდებულ ლევან ჯიქურის ინტერესების დამცველ ადვოკატს შეხვდნენ. კომუნიკაციის შემდეგ, პროკურატურის წარმომადგენლებმა არსებული სამართლებრივი ვითარება ბრალდებულსაც განუმარტეს.

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის პროკურორმა, მოწმისა და დაზარალებულის უფროს კოორდინატორთან ერთად, ბრალდებულ ლევან ჯიქურს განუცხადა, რომ პროკურატურა დამატებით შეისწავლის სისხლის სამართლის საქმეს და დღეს მოწოდებულ ინფორმაციას. მიღებული გადაწყვეტილება კი, მას გონივრულ ვადაში ეცნობება.

წარსულში ქურდობისთვის, სხვისი ნივთის დაზიანებისთვის, ყაჩაღობისთვის და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისთვის გასამართლებული ლევან ჯიქური ქურდობის ბრალდებით 2018 წლის 22 ნოემბერს დააკავეს.

მას ახალი დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდება წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

ლევან ჯიქურს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო 3.000 ლარის ოდენობით.

სამართალდამცავებმა ლევან ჯიქურის სახლის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული სამსუნგის ფირმის ტელევიზორი.

პროკურატურაში გამართულ დღევანდელ შეხვედრაზე ლევან ჯიქურმა განაცხადა, რომ მძიმე ოჯახური მდგომარეობის და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გათვალისწინებით, მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე შეღავათიანი პირობით საპროცესო შეთანხმების გაფორმებას მოითხოვს.

ბრალდებულის საქმის არსებითი განხილვა ამჟამად მცხეთის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს“.

წყნეთში შვილმა მამა ცივი იარაღით მოკლა



წყნეთში შვილმა მამა ცივი იარაღით მოკლა. მამაკაცს ჭრილობა გულმკერდის არეში აღენიშნება.

მკვლელობას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1982 წელს დაბადებული ს.ც. დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამას – 1954 წელს დაბადებულ გ.ც.-ს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – აცხადებენ შს სამინისტროში.

ტარიელ ონიანი ისევ დააკავეს

რუსეთში კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი ციხიდან გამოსვლისთანავე ისევ დააკავეს. ონიანის მორიგი დაკავების მიზეზი ესპანეთის პოლიციის მიერ ონიანის საერთაშორისო ძებნაში გამოცხადება გახდა.

ესპანეთის პოლიცია მას ფულის უკანონო გათეთრებას ედავება.

ტარიელ ონიანი ციხეში 19 აპრილამდე დარჩება, რის შემდეგაც მას რუსეთის ტერიტორიას დაატოვებინებენ.

61 წლის ტარიელ ონიანმა რუსეთის ციხე „შავ დელფინში“ 9-წლიანი სასჯელი მოიხადა.

გორში 2 არასრულწლოვანი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, 2002 წელს დაბადებული 2 პირი: ი.ბ. და ლ.ა. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 8 აპრილს კომპანია „ალტა ოქეის“ გორის ფილიალიდან სხვადასხვა მოდელის 27 მობილური ტელეფონი მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები თბილისში მდებარე ლომბარდებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა – ი.ბ.-მ, თანამზრახველთან ერთად, მიმდინარე წლის 17 მარტს, ამავე მაღაზიიდან სხვადასხვა მოდელის 12 მობილური ტელეფონი მოიპარა. გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ დიდი ოდენობით ქურდობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ჩადენილი დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამეგრელოში 56.680 ღერი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა

29 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული, უაქციზო სიგარეტის (ჯამში 56,680 ღერი) შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი. საქმეთა მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა.

თელავის უნივერსიტეტში 25 წლის ავთო კიკნაძე დაჭრეს

გუშინ, 10 აპრილს, თელავის უნივერსიტეტში აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი დაჭრეს.

25 წლის ავთო კიკნაძეს ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად მიაყენეს.

შემთხვევა უნივერსიტეტის ეზოში მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მათ სროლის ხმა მას შემდეგ გაიგეს, რაც კიკნაძემ საკუთარი ავტომობილი სასწავლებელთან გააჩერა.

– მოვიდა უნივერსიტეტში. მეგობრებმა გასროლის ხმა გაიგეს და ამბობდნენ, ხლაპუშკის ხმა გვეგონაო, მაგრამ ამას ყვირილი დაერთო, ასე დამამახსოვრდა, რომ ყვიროდნენ, რას აკეთებ ბიჭო, არ გააკეთო და გოგონები ყვიროდნენ ამ მხრიდან.

ავთო სასწრაფომ გადაიყვანა, მაგრამ არ ვიცით, ვინ იყო ის პიროვნება, ვინც დაჭრა ავთო, – ამბობს სტუდენტი ნინო ბოჭორიძე.

დაშავებული სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ თელავის საავადმყოფოში გადაიყვანა. რა გახდა დაჭრის მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

ექიმების თქმით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაშავებულს 2 ჭრილობა აქვს მიყენებული. მან ერთი გამჭოლი ჭრილობა მხრის, მეორე კი არაგამჭოლი ბარძაყის არეში მიიღო, თუმცა, ქირურგიული ჩარევა არ დასჭირვებია.

ნეთანიაჰუ პრემიერის პოსტს შეინარჩუნებს

ისრაელის პარლამენტში პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს პარტია „ლიკუდი“ და ცენტრისტული ბლოკი „კახოლ-ლავანი“ 35-35 მანდატს იღებენ.

მემარჯვენე ბლოკში, რომელსაც ბენიამინ ნეთანიაჰუ გაუძღვება, შევლენ რელიგიური პარტიები „შასი“ და „ტორას ებრაელობა“, რომლებმაც პარლამენტში 8-8 მანდატი მიიღეს, ავიგდორ ლიბერმანის პარტია (5 მანდატი), ასევე მემარჯვენე ცენტრისტული პარტია „კულანუ“ (4 მანდატი). საერთო ჯამში მემარჯვენე ბლოკი 65 მანდატს მიიღებს, რაც ბენიამინ ნეთანიაჰუს საშუალებას აძლევს, კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბოს.

მან უკვე დაიწყო მოლაპარაკებები მემარჯვენე ბლოკის პარტიებთან მთავრობის ფორმირების შესახებ.

არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ ისრაელის პრეზიდენტი რეუვენ რივლინი პარლამენტში არჩეულ პარტიებთან კონსულტაციების შემდეგ ერთ-ერთ დეპუტატს ახალი მთავრობის ფორმირებას დაავალებს.

პრემიერმინისტრობის პრეტენდენტს 42 დღე ეძლევა მთავრობის ფორმირებისთვის.

ნაზარბაევის ქალიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

ყაზახეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ტოკაევმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 8 ივნისს დანიშნა.

ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის ქალიშვილი დარიგა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. ნაზარბაევის გადადგომისთანავე დარიგა სენატის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს.

ქალეიდოსკოპი

ქალმა ბავშვები ცეცხლწაკიდებული მანქანიდან გამოიყვანა

ავსტრალიის ქალაქ კანბერაში ქალმა ბოლო მომენტში მოასწრო ორი ბავშვის ალმოდებული ავტომობილიდან გამოყვანა.

კეტრინ მეისი თავის ორ შვილთან: ხუთი თვის ჰანტერთან და ერთი წლისა და ცხრა თვის ტომისთან ერთად პარკში გაემგზავრა. ქალის მაზდას მარკის ავტომობილი არ იქოქებოდა და ამიტომ მან დამქოქი სპეციალური აკუმულატორით ისარგებლა. პარკის ავტოსადგომზე მისვლისას ქალს მოწყობილობიდან ტკაცანის და შიშინის ხმა შემოესმა, მალე კი იფეთქა. მანქანის მინები ჩაიმსხვრა, ხოლო აკუმულატორიდან სქელი ბოლი ამოვარდა, სავარძლებს კი ცეცხლის ალი მოედო.

მეისი მანქანიდან გადმოხტა და უკანა სავარძლიდან ბავშვების გადმოყვანა დაიწყო. მას რამდენიმე წამი დასჭირდა ჰანტერის საბავშვო სავარძლიდან ამოსაყვანად. ქალმა ბავშვები მანქანას მოაშორა და რამდენიმე წამში ავტომობილი მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვა.

– მხოლოდ ის ფიქრი მიტრიალებდა თავში, რომ სადაცაა მანქანა აფეთქდებოდა. ჯერ კიდევ ვერ დამიჯერებია, რომ ჩემი ბავშვების გადარჩენა მოვახერხე, – აღიარა მეისმა და იქვე დაამატა, აკუმულატორი მგზავრობისას რომ აფეთქებულიყო, გადარჩენა გაცილებით რთული იქნებოდა. მანქანა აღდგენას არ ექვემდებარება.

ქალმა ავადმყოფი ბავშვის შემოწირულობა მიისაკუთრა

ბრიტანეთის კუნძულ უაიტზე თაღლითმა ქალბატონმა ავადმყოფი ბავშვისთვის შემოწირულობების შეგროვებას გაუწია ორგანიზება.

36 წლის სიუ ბაქსტერის სამი წლის გოგონა პარკინსონიზმითაა დაავადებული და მას სპეციალური საწოლი სჭირდება. როდესაც ქალმა ამის შესახებ ფეისბუქში დაწერა, მას 50 წლის ტრეისი სმიტი დაუკავშირდა და საქველმოქმედო აუქციონის ორგანიზება შესთავაზა.

თანხების შეგროვებაში ადგილობრივები ჩაერთნენ, რის შედეგადაც სულ სამი ათასი ფუნტი სტერლინგის მოგროვება მოხერხდა. აუქციონის დასრულების შემდეგ სმიტმა ბავშვის დედისთვის ფულის მიცემაზე უარი განაცხადა. ის პირადად შეხვედრას გაურბოდა, შემდეგ კი ზარებსაც აღარ პასუხობდა.

პოლიციის რჩევით, ბაკსტერი არავის უყვებოდა ამ ყველაფრის შესახებ და არ შეეძლო აღშფოთებული მეზობლებისთვის, რომლებიც თვლიდნენ, რომ შემოწირულობა მან მიისაკუთრა, რაიმე აეხსნა. ქუჩაში ქალს აფურთხებდნენ, ვიღაც არაკეთილმოსურნემ კი სახლის ფანჯარაც კი ჩაუმსხვრია.

დაპატიმრების შემდეგ კი სმიტმა ფულის მითვისება აღიარა. სასამართლომ მას 12 თვით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. გარდა ამისა, მას მითვისებული ფულის დაბრუნებაც დაეკისრა.

ატრაქციონიდან ჩამოვარდნილმა გოგონამ ხერხემალი დაიზიანა

პერუში სტუდენტი გოგონა ატრაქციონიდან ჩამოვარდა და კიდურებისა და ხერხემლის მრავლობითი მოტეხილობები მიიღო.

არიანა პამელა ანჟელეს უერტასი ქალაქ ტრუხილიოს ლუნა-პარკს სტუმრობდა. 18 წლის გოგონა ატრაქციონ „ნახტომი სიცარიელეში“ ავიდა ჩაფხუტით და დამზღვევი ბაგირით, რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვა, დამაგრებული არ ყოფილა. უერტასმა სიმაღლეზე თავი ვერ შეიმაგრა, ქვევით ჩამოვარდა. მისი ჩამოვარდნის მომენტი მისმა ნათესავმა გადაიღო.

გოგონა დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი საავადმყოფოში და სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთდა. ექიმების შეფასებით, უერტასს მინიმუმ კიდევ ათი ოპერაციის და ერთწლიანი რეაბილიტაციის პროცედურების გავლა დასჭირდება. ამის მიუხედავად, ექიმებმა შესაძლოა მაინც ვერ დაუბრუნონ მგრძნობელობა გოგონას კიდურებს.

სტუდენტი გოგონას ოჯახმა პარკის ხელმძღვანელობა დანაშაულებრივ გულგრილობაში დაადანაშაულა. ლუნა-პარკი მომხდარის გამოძიების დასრულებამდე დახურულია. პარკის ხელმძღვანელობამ მწუხარება გამოხატა მომხდარის გამო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დონალდ ტრამპმა ეგვიპტის პრეზიდენტი მიიღო

ვაშინგტონში ეგვიპტის პრეზიდენტი სისი ჩავიდა. თეთრ სახლში ის დონალდ ტრამპმა მიიღო. მოლაპარაკებების ძირითადი თემები იყო ადამიანის უფლებები, ხმელთაშუა ზღვაში გაზის მოპოვება, ეგვიპტის როლი ჰამაზთან მოლაპარაკებებსა და ღაზას სექტორში ურთიერთობათა დარეგულირების საკითხში.

სისიმ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ჰამაზთან მოლაპარაკებაში აქტიურად ჩაებას და სირიის პრობლემის დარეგულირებაში მონაწილეობა მიიღოს.

ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეგვიპტის ლიდერთან სრულ ურთიერთგაგებას მიაღწია.

– სისი შესანიშნავი პრეზიდენტია, – თქვა ტრამპმა.

ევროკავშირი ბრექსიტის გადავადებისთვის მზადაა

ბრექსიტის გარშემო აჟიოტაჟი არ ცხრება. როგორც ცნობილია, ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ ბრიუსელთან შეთანხმებას მიაღწია, მაგრამ ინგლისის პარლამენტმა შეთანხმება დაიწუნა. ბრექსიტიც კვლავ ჰაერში ჰკიდია.

ევროკავშირი მზადაა, ბრექსიტის გადავადებას დათანხმდეს.

– პირადად მე ბრექსიტის 2020 წლამდე გადადება შესაძლებლად მიმაჩნია, – განაცხადა ანგელა მერკელმა.

ბრექსიტის გარშემო დისკუსიები გრძელდება.

ერდოღანს სტამბულის არჩევნების გაუქმება სურს

როგორც ცნობილია, სტამბულის მუნიციპალურ არჩევნებზე ოპოზიციამ გაიმარჯვა. პრეზიდენტმა ერდოღანმაც განაცხადა, რომ აუცილებელია ხელახალი არჩევნების ჩატარება.

– მოხდა სერიოზული დარღვევები! ამიტომ უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები, – მიიჩნევს ერდოღანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით. იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ნახევარფინალისტთა ოთხეული შეივსო

კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალისტების სრული ვინაობა გაირკვა.

საუკეთესო ოთხეულში წინა თვეში გასულ ქუთაისსა და დელტას კიდევ 2 გუნდი – მგზავრები და ტიტები შეუერთდა.

2 მატჩიდან ერთი შედარებით დაძაბული გამოდგა, მეორეში კი ბრძოლა არ შედგა.

თსუ ჰიუნდაი-მგზავრები 82:94 (20:23, 24:26, 20:17, 18:28)

თანაბრად დაწყებული მატჩის მეორე მეოთხედში ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა – 49:36. თუმცა, მგზავრებმა ეს ლიდერობა ვერ შეინარჩუნა და დიდ შესვენებამდე დარჩენილი წუთნახევარი 0:8 წააგო.

თსუ-ჰიუნდაიმ წარმატებული თამაში მესამე პერიოდიდანაც განაგრძო და 57:53 დაწინაურდა. მგზავრებს ხელახლა მოუხდა თამაშის დალაგება და კარგი დაცვის ხარჯზე ჯერ ჩამორჩენა შეამცირა, ბოლო 10-წუთეულის წინ კი 2 ქულით – 66:64 დაწინაურდა.

გადამწყვეტ პერიოდში მგზავრებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს, ადრიან ბოუის ლიდერობით, გასამარჯვებლად საკმარისი უპირატესობა მოიპოვეს და დასახულ მიზნამდეც იოლად მივიდნენ – 94:82.

გამარჯვებულთაგან გამოსარჩევია ადრიან ბოუი, რომელიც ზედიზედ მეორე მატჩია, სამმაგ დუბლს ასრულებს – 22 ქულა, 12 მოხსნა, 12 პასი. 25 ქულა მოაგროვა ჯეიკობ არმსტრონგმა, ხოლო 18 ქულა პრინს უილიამსის ანგარიშზე დაგროვდა. თსუ-ჰიუნდაიში 22 ქულით საუკეთესო იყო რატკო პეტრიჩი, ალექსანდრე ფევაძის ანგარიშზე კი 12 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

ოლიმპი-ტიტები 73:106 (14:32, 15:19, 15:31, 29:24)

მეორე მეოთხედფინალურ მატჩში ტიტებმა ოლიმპს პირველი პერიოდი 32:14 მოუგო, ხოლო ამ სოლიდურ უპირატესობას დიდი შესვენებისთვის კიდევ 4 ქულა წაამატა. ლაშა გამყრელიძის განწვრთნილი გუნდი ამ ლიდერობას არ დასჯერდა და მესამე პერიოდში მეტოქე 38 ქულით ჩამოიტოვა.

ტიტების კალათბურთელებს ყველაფერი გამოსდიოდათ – ილია ლონდარიძე და გიორგი შარაბიძე ფარქვეშიდან, ლიუკ მეიერი, კაჰიმ რენსომი, ბესო ლეჟავა და ჟოელ ალმეიდა პერიმეტრიდან ოლიმპის კალათს წარმატებით ესროდნენ. მიზანი უჭრიდათ შეცვლაზე შემოსულ მოთამაშეებსაც, რამაც ის გამოიწვია, რომ ტიტების უპირატესობამ ბოლო პერიოდში 40 ქულას გადააჭარბა.

საბოლოოდ ტიტებმა 33-ქულიანი სხვაობით იმარჯვა და თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

გამყრელიძის გაწვრთნილ გუნდს 16 ქულით ლიუკ მეიერმა ულიდერა. 14 ქულა რენსომმა, 13 – ალმეიდამ, ხოლო 12 ლონდარიძემ მიითვალეს. ოლიმპში 18 ქულით და 9 მოხსნით საუკეთესო იყო მარკ ოგდენი.

თასის ნახევარფინალში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: ქუთაისი-ტიტები, მგზავრები-დელტა.

ლაშა შინდაგორიძე: „ჩისკომ შემაქო“

ეროვნულ ლიგას ახალი ბომბარდირი ჰყავს – ლაშა შინდაგორიძე. არადა, საბურთალოს შემტევს ტრავმის გამო კარგა ხანი გაუცდა, მაგრამ ჩვეულ ფორმას უბრუნდება. 26 წლის ფეხბურთელმა მიმდინარე პირველობაზე უკვე 5 გოლის გატანა მოასწრო, რაც ამპლუით შემტევი ნახევარმცველისთვის მშვენიერი შედეგია.

– უსიამოვნო დროის შემდეგ, როდესაც ტრავმის გამო იძულებით ისვენებდით, თავს როგორ გრძნობთ?

– ზუსტად ერთი წელი გავიდა იმ ტრავმის შემდეგ, რაც უნგრეთში დამემართა. ნახევარ წელიწადზე მეტო დრო დავკარგე, მაგრამ ღვთის წყალობით, ახლა კარგად ვარ, ნელნელა შევდივარ სპორტულ ფორმაში. მჯერა, მომავალში კიდევ უფრო მოვუმატებ და გუნდს დავეხმარები სასურველი მიზნის მიღწევაში.

– თქვენი კარგი თამაში საბურთალოს აშკარად ეტყობა. 7 ტურის შემდეგ ოთხჯერ მოხვდით ტურის სიმბოლურ ნაკრებში. რას იტყვით განვლილ მატჩებზე?

– თავიდანვე ვიტყვი, რომ კლუბმა 2 ნაყოფიერი შეკრება გაიარა. თურქული შეკრებები ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭირო იყო, რადგან ტრავმის შემდეგ პირველად მომიწია გუნდთან ერთად ვარჯიში. კლუბის ხელმძღვანელობა ყველანაირად გვერდში გვიდგას, რომ კარგ პირობებში მოვემზადოთ. თურქეთში საინტერესო სპარინგ-მატჩები გავმართეთ, რაც აუცილებლად წაგვადგება. რაც შეეხება ეროვნული ლიგის მატჩებს, აშკარად ჩანს, რომ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ. არ ვაპირებთ ამაზე გაჩერებას, მომავალში კიდევ უფრო უკეთეს ფეხბურთს ვაჩვენებთ. საბურთალოს ამის რესურსი ნამდვილად გააჩნია.

– 7 ჩატარებული მატჩიდან 5-ჯერ აიღეთ მეტოქის კარი. რას გრძნობთ გატანილი გოლების შემდეგ?

– გოლის გატანა სასიხარულოა, მაგრამ ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა იმ რთული ტრავმის მერე, რაც გადავიტანე. იმის გარდა, რომ გუნდს გამარჯვებაში ვეხმარები, გოლების გატანა ძალებს მმატებს და უფრო მეტი შემართებით ვარ. საბურთალოს კარგი თამაშიდან გამომდინარეა, რომ გოლები გამაქვს.

– 2017 წელს, როდესაც“ საბურთალოში ირიცხებოდით, 34 მატჩიდან 9 გოლის გატანა შეძელით. ალბათ, წლეულს უფრო მეტის მოლოდინი გექნებათ.

– ისეთ პოზიციაზე ვთამაშობ, რომ გოლების გარდა, საგოლე პასების გაკეთებაც მმართებს. ვცდილობ, პროდუქტიული ვიყო და გუნდს წარმატებაში დავეხმარო. უკვე 5 გოლი გავიტანე და, რა თქმა უნდა, მაქვს მოლოდინი, რომ ამ შედეგს ბევრად გავაუმჯობესებ.

– დინამოსთან მატჩის შესვენებაზე თქვენ და მეტოქე გუნდის მთავარი მწვრთნელი ჩისკო გვირაბიდან ერთად გამოდიოდით. საინტერესოა, რაზე საუბრობდით?

– განსაკუთრებული არაფერი. ადრე დინამოში გუნდელები ვიყავით და ვიცნობთ ერთმანეთს. ესპანელმა შემაქო – კარგ სპორტულ ფორმაში ხარ და წარმატებებს გისურვებო.

– ახლანდელი გადასახედიდან, შეუძლია საბურთალოს ზედიზედ მეორედ გახდეს ქვეყნის ჩემპიონი?

– ყოველთვის რთულია ტიტულის შენარჩუნება, თუმცა საბურთალოში ისეთი შემადგენლობაა თავმოყრილი, კლუბს ნამდვილად შესწევს ძალა, რომ კიდევ ერთხელ მოიპოვოს საქართველოს ჩემპიონის წოდება. გუნდი ყოველწლიურად ვითარდება, პროგრესირებს. ეს ყველაფერი, როგორც შედეგებიდან, ასევე ჩვენი თამაშებიდანაც ჩანს. მორიგი ჩემპიონობისთვის ფეხბურთელები ყველაფერს გავაკეთებთ.

– საბურთალოს წარმატების საიდუმლო რაში მდგომარეობს?

– დისციპლინა და გუნდურობა ძალიან მაღალ დონეზე დგას. ამავდროულად, გუნდი ერთი დიდი ოჯახია. გვყავს ძალიან კარგი სამწვრთნელო შტაბი, რომლებთანაც მუშაობა სასიამოვნოა. ეს ყველაფერი კი არის წარმატების შედეგი.

– ეროვნულ ლიგაში საბურთალოს მაისურით 2017 წელსაც თამაშობდით. რა შეიცვალა მას შემდეგ ჩემპიონატში?

– ჩვენი პირველობა ყოველწლიურად უმჯობესდება და უკეთესი ხდება. ძალიან კარგი სისტემაა, 10-გუნდიანი ჩემპიონატი ბევრად დაძაბული და საინტერესოა. ის, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებს ბუნებრივ საფარზე უწევთ თამაში, წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორც ვიცი, მალე ლიგა-2-ის კლუბებსაც მოეთხოვებათ ბუნებრივ მინდორზე ასპარეზობა. ასევე, დადებითია ის, რომ თამაშები პირდაპირ ეთერში გადაიცემა როგორც ეროვნული ლიგის, ასევე ლიგა-2-ის. ადრე ამ ყველაფერს მოკლებულები ვიყავით, თუმცა ეროვნული ლიგა ვითარდება და თამაში სასიამოვნო ხდება.

– საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეულ ფეხბურთელებს ნაკრებში თამაშის შესაძლებლობა ეძლევათ ხოლმე. ალბათ, ამის სურვილი მომავალში თქვენც გექნებათ.

– ვფიქრობ, ყველა ფეხბურთელის სურვილია ნაკრებში თამაში. იმედი მაქვს და მჯერა, დადგება დრო, როდესაც ქვეყნის პირველი გუნდის ღირსებას დავიცავ.

ლოკომოტივს კორღალიძე გაწვრთნის

მიმდინარე ეროვნული ლიგის გათამაშებაში თბილისის ლოკომოტივი პირველი გუნდი გახდა, რომელმაც მწვრთნელი გამოიცვალა. 2019 წლის სეზონის დასაწყისში არასტაბილური სტარტის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტა. ამიერიდან ლოკომოტივს ლაშა ჭაღიაშვილის ნაცვლად ლევან კორღალიძე გაწვრთნის.

ახალგაზრდა სპეციალისტი ლოკომოტივში 2018 წლის ზაფხულიდან მუშაობს. ამ პერიოდის განმავლობაში კორღალიძე ლაშა ჭაღიაშვილის ასისტენტი და პარალელურად ლოკომოტივის 15 წლამდე გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო.

მწვრთნელობის დაწყებამდე კორღალიძე საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, საქართველოში ქუთაისის ტორპედოს, გორის დილას, ზესტაფონის და რუსთავის მეტალურგის, ხოლო უცხოეთში ზიმბრუს, დაჩიას და სკონტოს რიგებში ირიცხებოდა.

შედეგები

9 აპრილი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლივერპული-პორტუ	2:0
ტოტენჰემი-სიტი	1:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექბერნი-დერბი	2:0
ბრისტოლი-ვესტ ბრომვიჩი	3:2
პრესტონი-ლიდსი	0:2
სუონსი-სტოკი	3:1
უენსდი-ნოტინგემი	3:0
ბოლტონი-მიდლსბრო	0:2

საფრანგეთი. 1 ლიგა

ნიმი-რენი	3:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტოტენჰემმა და ლივერპულმა მეოთხედფინალები მოგებით დაიწყეს

ტოტენჰემი-სიტი 1:0

ლონდონი. ტოტენჰემ ჰოთსპური

სონი (78)

მე-13 წუთზე აგუერომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

ტოტენჰემი: ლორისი, ალდერვეირელდი, როუზი, ტრიპიერი, ვერტონგენი, ერიკსენი, უინკსი (ვანიამა 81), ალი (ლორენტე 87), სისოკო, კეინი (ლუკას მოურა 58), სონი

მანჩესტერ სიტი: ედერსონი, ლაპორტი, ოტამენდი, უოკერი, დელფი, დ.სილვა (სანე 88), ფერნანდინიო, მარეზი (დე ბრიუნე 88), გიუნდოგანი, სტერლინგი, აგუერო (ჟეზუსი 71)

საინტერესო შედეგი დაფიქსირდა. მართალია, სიტი ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ტოტენჰემის მოგება სენსაციური იყო. არ გამოდგა ლონდონური გუნდი ისეთი სუსტი, როგორც ამას სპეციალისტები და ბუკმეკერული კანტორები აფასებდნენ.

პეპ გვარდიოლას გუნდმა უფრო პრაგმატულად ითამაშა, ვიდრე ველოდით. ქალაქელთა შემტევების პერფორმანსი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი იყო მიმდინარე სეზონში. სიტიმ უგო ლორისის კარის მიმართულებით სულ 2-ჯერ დაარტყა.

ერთია, მატჩის მე-13 წუთზე სერხიო აგუეროს პენალტი რომ გამოეყენებინა, მატჩის მიმდინარეობის სცენარი სხვაგვარი იქნებოდა. თუმცა, არგენტინელს ლორისმა აუღო და მის გუნდს შანსი დაუტოვა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც გვარდიოლამ ჩემპიონთა ლიგის გასვლით შეხვედრაში გუნდს ფრთხილი ფეხბურთი ათამაშა და ამის გამო დაისაჯა. ტოტენჰემი მთელი მატჩის განმავლობაში ბურთს მხოლოდ 40% ფლობდა, მაგრამ ამას არ შეუძლია ხელი მეტოქეზე გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შეექმნა და მაურისიო პოჩეტინოს გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა. „დეზებიდან“ გამარჯვების მომტანი გოლი კორეელმა მინ ჰინ სონმა გაიტანა.

ტოტენჰემმა შესანიშნავ შედეგს მიაღწია, მოიგო და გოლი არ გაუშვია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფავორიტის სასწორის პინა მის მხარეს გადაიხარა. მით უფრო, რომ ლონდონელებს საპასუხო მატჩში გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა, ჰარი კეინი დააკლდება, რომელმაც სიტისთან შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო. ამასთან, სიტი საკუთარ „ეტიჰედზე“ თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობს.

ჰო, ტოტენჰემმა მატჩი ახალ სტადიონზე ჩაატარა და დებიუტიც შესანიშნავი გამოუვიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მინ ჰინ სონი

კორეელმა კარგი მატჩი ჩაატარა. ბევრს მოძრაობდა, აქტიურად მონაწილეობდა გუნდის კონტრშეტევებში. ასეთი ტაქტიკისთვის სონი იდეალური ვარიანტია. სწორედ ამ აქტიური ქმედებებისთვის გამარჯვების გოლითაც იქნა „დაჯილდოებული“.

მაურისიო პოჩეტინო:

– კეინი მედშემოწმებას გაივლის, მაგრამ ეტყობა, ისევ იმავე კოჭწვივზე მიიღო ტრავმა, რომლის გამოც ერთ თვეზე მეტხანს მოუწია უქმობა. ამან ძალიან დამამწუხრა. ის ძალიან დაგვაკლდება. შესაძლოა, ჰარიმ ამ სეზონში ვეღარ ითამაშოს. ტრავმის მოსარჩენად ძალიან ცოტა დრო აქვს. ფეხი გადაუბრუნდა. რაც შეეხება მატჩს, შესანიშნავი შეხვედრა იყო, რთული. კარგად ვითამაშეთ. ვფიქრობ, ლორისის მიერ პენალტის მოგერიებამ ძალები შეგვმატა.

პეპ გვარდიოლა:

– მარტო პენალტი კი არ გამოგვიმუშავებია, არამედ ბევრი მომენტი გვქონდა. თამაშს ვაკონტროლებდით და მეტოქეს გასაქანს არ ვაძლევდით. 2 საყრდენი ნახევარმცველით თამაში გადავწყვიტე და ამიტომ არ დავაყენე დე ბრიუნე ძირითად შემადგენლობაში. 0:1 საუკეთესო შედეგი არაა, მაგრამ გასულ სეზონში უარეს მდგომარეობაში ვიყავით. ახლა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ქამბექის შესრულება გვმართებს. 0:1 ხანდახან 0:0-ზე უკეთესია, რადგან ზუსტად იცი, რაც უნდა გააკეთო. შესაძლოა, შეხვედრის ხელახლა ნახვის შემდეგ აზრი შევიცვალო, მაგრამ ასე მგონია, კარგად ვითამაშეთ.

ლივერპული-პორტუ 2:0

ლივერპული. ენფილდი

1:0 კეიტა (5), 2:0 ფირმინო (26)

ლივერპული: ალისონი, ვან დეიკი, ლოვრენი, ალეკსანდერ-არნოლდი, ჰენდერსონი, მილნერი, კეიტა, ფაბინიო, მანე (ორიგი 73), სალაჰი, ფირმინო (სტარიჯი 82)

პორტუ: კასილიასი, ფელიპე, ტელესი, მაკსი პერეირა (ფერნანდო 77), ედერ მილიტაო, ოლივერ ტორესი (ბრუნუ კოშტა 74), დანილუ პერეირა, მარეგა, ოტავიო, კორონა, სოარესი (ბრაიმი 62)

მატჩმა ბევრი კითხვა უფრო დატოვა, ვიდრე კონკრეტული პასუხი. ერთი მხრივ, ლივერპულმა მალე გახსნა ანგარიში – გოლი ნაბი კეიტამ გაიტანა. მასპინძლები შემდეგაც ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ პორტუმ გაუძლო და ტაიმის შუაში სიტუაცია გამოასწორა. სწორედ აქ მოხდა გარდამტეხი მომენტი და ფირმინიომ მე-2 გოლი გაიტანა.

თითქოს პორტუსთვის განაჩენი გამოტანილი იყო, მაგრამ პორტუგალიელებმა მაინც მოახერხეს თამაშის პოვნა. მარეგამ 2 კარგი შანსი ვერ გამოიყენა. მართალია, ფირმინიომაც გააცუდა კარგი მომენტი, მაგრამ ანგარიში პირველივე ტაიმში რომ არ შეიცვალა, უფრო იღბლის ბრალი იყო.

შესვენების შემდეგ კი სულ სხვა ფეხბურთი ვიხილეთ. პორტუ კარგად იცავდა თავს და არც შეტევაში გამოიყურებოდა ურიგოდ. იმავე მარეგას მატჩის ბოლოს სხვაობის შემცირება შეეძლო. არადა, თუ პორტუ გოლს გაიტანდა, შინ გაცილებით კომფორტული ანგარიშით დაბრუნდებოდა.

ამჯერად ლივერპული ისევ რჩება უმტავრეს ფავორიტად, მაგრამ თუ პორტუგალიაშიც ისეთივე თამაში იქნება, როგორც პირველი შეხვედრის მე-2 ტაიმში, სერჟიო კონსეისაუს გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ნამდვილად ექნება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ნაბი კეიტა

სასტარტო შემადგენლობაში ვეინალდუმის ნაცვლად კეიტას გამოჩენა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ტოტენჰემმა და ლივერპულმა მეოთხედფინალები მოგებით დაიწყეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მოულოდნელიც კი იყო, მაგრამ კლოპი არ შეცდა. ლივერპულელთა საყრდენი ნახევარმცველი გამორჩეული იყო. კარგად თამაშობდა ართმევაზე და არც შეტევაში წასვლას ერიდებოდა. ანგარიშიც მან გახსნა – მართალია, იღბალიც წაეხმარა, მაგრამ ტაბლოზე ამას მნიშვნელობა არ აქვს.

იურგენ კლოპი:

– ბედნიერები ვართ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხვედრაა. მეორე დაძაბული იქნება. თამაშს დროის უმეტეს ნაწილში ვაკონტროლებდით და 2 გოლი გავიტანეთ. მეტოქეს ძალიან ბევრი სტანდარტულის შესრულების უფლება მივეცით. ვფიქრობ, მათ გოლების 40% სტანდარტულებიდან გააქვთ. მხოლოდ რამდენიმე იშვიათი კონტრშეტევა განახორციელეს. მეორე ტაიმში, პირველის მსგავსად, აქტიურად ვერ ვუტევდით, მაგრამ 2:0-ის გამო ფეხბურთელების კრიტიკის საფუძველი არა მაქვს – ძალიან კარგი შედეგია.

სერჟიო კონსეისაუ:

– ვფიქრობ, ლივერპულთან მოგება შეგვიძლია. თავდასხმაში ბალანსი გვჭირდება. შეტევასა და თავდასხმას შორის ბალანსის დროს, ვფიქრობ, თამაშში მომენტები გვექნება. მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, კონკრეტულ სიტუაციებში როგორ მოვიქცეთ.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ჯერ გაუჩენელმა ბავშვმა დედის სიცოცხლე გადაარჩინა



ინგლისის ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ საუთჰემპტონის მცხოვრებმა ქალმა ფეხმძიმობაზე გაშუქების წყალობით დროულად შენიშნა ავთვისებიანი სიმსივნე.

29 წლის აისმინ რენდოლმა ფეხმძიმობის მერვე კვირას ულტრაბგერით გამოკვლევაზე გაიარა. სპეციალისტმა დაუდასტურა, რომ ნაყოფი ნორმალურად ვითარდებოდა, თუმცა ქალის საშარდე ბუშტში რაღაც ახალი წარმონაქმნი შენიშნა. რომ არა ულტრაბგერითი გამოკვლევა, სიმსივნე შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

ექიმებმა რენდოლი გააფრთხილეს, რომ ფეხმძიმობის დროს ოპერაციის გაკეთება ნაყოფის მკვდრად დაბადების რისკს ზრდიდა. თუმცა დაყოვნებაც ასევე არ შეიძლებოდა, ვინაიდან მზარდ სიმსივნეს შესაძლოა შიდა სისხლდენა გამოეწვია. ასეთ შემთხვევაში კი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა როგორც ბავშვის, ისე დედის სიცოცხლე.

ფეხმძიმობის მე-19 კვირას რენდოლს ოპერაცია გაუკეთდა. იმ დროისთვის სიმსივნემ ზომაში კიდევ ერთი სანტიმეტრით მოიმატა. ნაყოფისთვის რისკის შესამცირებლად, ის სპეციალური ანესთეზიით მოაშორეს, რომელიც ჩვეულებრივ საკეისრო კვეთის დროს გამოიყენება. ამის გამო ქალი ოპერაციის დროს გონებაზე იმყოფებოდა.

ფეხმძიმობა ყოველგვარი გართულების გარეშე გაგრძელდა და ოთხი თვის შემდეგ რენდოლს გოგონა შეეძინა.

– ეს ბავშვი სასწაულია, – ამბობს ქალი, – შთამბეჭდავია, რომ მან ოპერაცია გადაიტანა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ჩემ მუცელში იმყოფებოდა. უფრო მეტიც, მან სიკვდილს გადამარჩინა.

ინდაურმა მოტოციკლისტი მოკლა

ამერიკის მიჩიგანის შტატში დაიღუპა მოტოციკლისტი, რომელსაც აფრენილი ინდაური დაეჯახა.

გზა, რომლითაც 70 წლის ადგილობრივი მცხოვრები მგზავრობდა, გარეული ინდაურების გუნდმა გადაკვეთა. ერთ-ერთი მათგანი აფრინდა და მამაკაცს მკერდზე შეასკდა. დარტყმის შედეგად მან მართვა დაკარგა, გზის პირას აღმართულ დამცავ ჯებირს დაეჯახა და ფეხი დაკარგა. მოტოციკლისტი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

შეგახსენებთ, რომ გარეული ინდაურები საკმაოდ მსხვილი ფრინველები არიან და ისინი ფართოდ არიან გავრცელებული ჩრდილოეთ ამერიკაში. მოზრდილი ინდაურის წონა რვა კილოგრამს აღწევს. სპეციალისტების მონაცემებით, მიჩიგანში დაახლოებით 200 ათასი გარეული ინდაური ბინადრობს.

მოლდოველმა მოდელმა თავი კრისტალებიანი ლამბორჯინით მოიწონა

ლონდონში მცხოვრებმა მოლდოვური წარმოშობის მოდელმა და ბლოგერმა დარია რადიონოვამ საკუთარი ლამბორჯინის მარკის ავტომობილი Aventador-ი სვაროვსკის ორი მილიონი კრისტალით მორთო.

ინსტაგრამში გოგონას გვერდზე გამოქვეყნებულია მთლიანად შავი ფერის კრისტალებით დაფარული სუპერკარის ფოტოსურათი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ავტომობილის ტიუნინგით ატელიე Cars In Cloaks-ს იყო დაკავებული. მთელ ამ პროცესს ორი თვე, ანუ 700 საათი დაჭირდა, იმ პირობით, რომ ატელიეს გუნდი დღეში 12 საათს მუშაობდა. ამ ჩატარებული სამუშაოს ღირებულება უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ტიუნინგამდე რადიონოვას ლამბორჯინი წითელი ფერის იყო. ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 26 წლის მოდელმა კრისტალებით მანამდე სხვა თავისი ავტომობილებიც დაამშვენებინა, კერძოდ, მერსედეს-ბენცCLS-350 და ლამბორჯინი Huracan-ი.

მეგან მარკლის მომავალმა შვილმა რეკორდი დაამყარა

დიდ ბრიტანეთში რეკორდული რაოდენობის ფსონის დადება დაფიქსირდა სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლისა და პრინც ჰარის მომავალი შვილის სქესზე, დაბადების თარიღსა და სახელზე.

გამოცემა ფორბსის მონაცემებით, ბუკმეკერებმა 9 მილიონი ევროს ფსონი მიიღეს. სპეციალისტებმა სამეფო ოჯახის სხვა ბავშვების დაბადების წინა თამაშის ისტორია შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ მეგან მარკლის მომავალმა პირმშომ რეკორდი დაამყარა.

დათვმა ტურისტი ქალი უხელოდ დატოვა

რუსეთის ამურის ოლქში დათვი თავს დაესხა ტურისტ ქალბატონს, რომელიც მისთვის საჭმლის მიცემას ცდილობდა.

ინციდენტი ტურისტულ ბაზაზე მოხდა. საგანგებო შემთხვევის შესახებ შეტყობინება 8 აპრილს გავრცელდა. ტურისტმა მარცხენა ხელი ვოლიერის გისოსებს შორის შეყო, რომელშიც მტაცებელი ცხოველი იმყოფებოდა. ის ცდილობდა დათვისთვის ეჭმია. ამ დროს ცხოველი მას თავს დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა ხელზე. ქალი სასწრაფოდ ქალაქ ბლაგოვეშჩენსკის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმები, დაზიანებების სირთულიდან გამომდინარე, იძულებულნი გახდნენ, ხელის ამპუტაცია განეხორციელებინათ.

ქვეყნის რეგიონული სამძებრო სამმართველო ტურბაზის თანამშრომლების მოქმედებების შესწავლას აწარმოებს, რომლებიც დათვის მოვლა-პატრონობასა და ტურისტების უსაფრთხოებაზე არიან პასუხისმგებელნი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თვითმფრინავში ქალმა კაბა წამოიხადა და თანამგზავრებს აგინა

მთვრალმა მგზავრმა ქალბატონმა თვითმფრინავში კაბა წამოიხადა, ტვერკი იცეკვა და დანარჩენ მგზავრებს დედა აგინა. ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეო, რომელიც ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო, ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ავიაკომპანია სპირიტ ეირლაინსის თვითმფრინავის სალონში მოხდა, რომელიც ასრულებდა რეისს ფილადელფიის შტატის ქალაქ ორლანდოდან ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკის მიმართულებით.

მგზავრი ქალბატონის ასეთი რეაქცია მობილური ტელეფონის გამორთვის მოთხოვნამ გამოიწვია.

– გადაიღეთ ყველაფერი, რა ჩემი ... გინდათ, – დაიყვირა ქალმა მანამდე, სანამ კაბას წამოიხდიდა.

შემდეგ კი მან თავისი ნივთები საბარგულის თაროდან ჩამოიღო და თვითმფრინავი დატოვა. ამასთან ის ლანძღვა-გინებას და შეურაცხყოფას აგრძელებდა. ერთ-ერთ მგზავრს, რომელიც მას ვიდეოს უღებდა, დაუყვირა, რომ დედამისი უფრო ბევრს შოულობდა, ვიდრე ის თავად. ასევე ყველა მგზავრი ქალის სასქესო ორგანოს შეადარა.

ყოველი მეოთხე იაპონელი გოგონა ქალიშვილია



იმ იაპონელთა რაოდენობა, რომელთაც სექსი არასოდეს ჰქონიათ, იზრდება. აღნიშნულ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული საინფორმაციო ტელეარხი სამეცნიერო კვლევით ჟურნალზე დაყრდნობით ავრცელებს.

სტატისტიკა, რომელიც ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეაგროვეს, მოწმობს, რომ 2015 წელს 18-დან 39 წლამდე ასაკის იაპონელი გოგონების 24,6 პროცენტი ქალიშვილი იყო, რაც 2,9 პროცენტით აღემატება 1992 წლის მაჩვენებელს. ამავე ასაკის მამაკაცების რაოდენობა, რომელსაც ჰეტეროსექსუალური გამოცდილება არ ჰქონიათ, 1992 წლის 20 პროცენტიდან 2015 წელს 25,8 პროცენტამდე გაიზარდა.

2010 წლის მონაცემებით, მსგავს სირთულეებს უფრო ხშირად 25-დან 39 წლამდე იაპონელები განიცდიან, რომლებიც უმუშევრები ან არასრული სამუშაო დღით დაკავებულები არიან და დაბალი ხელფასი აქვთ.

მკვლევარების დასკვნები შვიდი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობა, რომლებიც 2012-სა და 2015 წლებს შორის ჩატარდა. მათში 11-დან 18 ათასამდე იაპონელი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ 30 წლის ამერიკელების, ბრიტანელების და ავსტრალიელების რაოდენობა, რომელთაც ჰეტეროსექსუალური გამოცდილება არ ჰქონიათ ერთიდან ხუთ პროცენტამდეა.

ახალგაზდა მყვინთავს თავს ზვიგენი დაესხა

ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გოგონა ვეფხვისებური ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაშავდა.

ჩინელი გოგონა, სახელად ნანა, ლიაონინის გასართობ ცენტრში ყვინთვას სწავლობდა. მან ყვინთვის დაწყებითი კურსის შესწავლაში 3,6^ათასი იუანი გადაიხადა. სწავლების კურსი სპეციალურ აუზში მიმდინარეობდა, რომელშიც ვეფხვისებური ზვიგენები ბინადრობენ.

თავდასხმის შემდეგ ზვიგენმა ნანას თავზე უკბინა და სხეულზე მრავალრიცხოვანი ნაკბილარები და ჭრილობები დაუტოვა. გოგონა დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი საავადმყოფოში. ექიმებმა ოთხსაათიანი ოპერაცია ჩაუტარეს და 70-ზე მეტი ნაკერი დაადეს. ყვინთვის ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გოგონას მკურნალობისა და სწავლის ხარჯებსაც ისინი მთლიანად დაფარავენ.

გოგონა საავადმყოფოში ექიმების დაკვირვების ქვეშ იმყოფება. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ასტროპროგნოზი

11 აპრილისთვის

ვერძი – იაქტიურეთ. ნუ მოდუნდებით. ეცადეთ, აიმაღლოთ კვალიფიკაცია. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **კურო** – მეგობრების საქმეში ნუ ჩაერევით. საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ტყუპები** – შესაძლოა, სამსახური შეიცვალოთ, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას საკმაოდ გააუმჯობესებს. ახალი საქმის დაწყების ნუ შეგეშინდებათ. **კირჩხიბი** – დღეს ყველა პრობლემას მოაგვარებთ. მთავარია, თავდაჯერებულად იმოქმედოთ. **ლომი** – ნებისმიერ გაუგებრობას თავიდან აიცილებთ. გეგმების რეალიზება არ გაგიჭირდებათ. **ქალწული** – იმისათვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოთ, თავი არ დაზოგოთ. საჭიროების შემთხვევაში მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. **სასწორი** – იყავით მამაცი, პრინციპული. საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება წარმატების საწინდარია. **ღრიანაკალი** – გარშემომყოფთა აგრესიას მშვიდად შეხვდით. ემოციები აკონტროლეთ. დღის მეორე ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარი შესაძლებლობები კრიტიკულად გააანალიზეთ. დღეს უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **თხის რქა** – მიზნის მისაღწევად მთელი შინაგანი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **მერწყული** – ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს მეტი ყურადღება მიაქციეთ. ნუ გადაიღლებით. მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. ოპტიმიზმი და მელანქოლია ერთმანეთს ენაცვლება. საქმიან პარტნიორებთან და კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 5. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 8. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მონასტერი თბილისის მახლობლად; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 15. ჯეიმს ჯოისის რომანი.

თარაზულად: 1. უძველესი ქართული ხალხური თეატრალიზირებული თამაში-წარმოდგენა; 6. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 7. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 10. მოკლე სადღეგრძელო; 11. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 13. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 14. უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. კომპანია „ზარას“ მფლობელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პოკერი; 2. რიკოთი; 3. იტილი; 5. გემა; 6. თმოგვი; 8. ბორნეო; 11. აბსოლუცია; 13. მუტრუკი; 14. ქანქარა; 15. ვისკოზა; 19. ტატა.

თარაზულად: 1. პოლიქრომია; 4. გოლგოთა; 7. კუბრიკი; 9. ლაკოსტა; 11. თართი; 12. სინოპეკი; 16. ბოლივუდი; 17. ეტალონი; 18. ექსპონატი; 20. იაგუარი; 21. თითა; 22. გვასალია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუტა; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. იორი; 9. ბოკერია; 10. მეგაფონი; 12. თუშეთი; 13. ოკაპი; 15. ელისო.

თარაზულად: 1. ბობსლეი; 6. მასმედია; 7. ტაიჭი; 10. მზისა; 11. ბრავო; 13. ომეგა; 14. უწერა; 16. ელია; 17. არაქისი; 18. ტიროლი.

ვანიკო თარხნიშვილი „რუსთავი 2“-ში დაბრუნდა

მსახიობი და ტელეწამყვანი ვანიკო თარხნიშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში დაბრუნდა. ბოლოს ის საზოგადოებრივ მაუწყებელზე რუსკა მაყაშვილთან ერთად მუსიკალური შოუს „საქართველოს ვარსკვლავის“ წამყვანი იყო.

ინფორმაცია ვანიკოს „რუსთავი 2“-ში დაბრუნების შესახებ არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ გაავრცელა:

– დავიბრუნეთ. ისევ ჩვენთანაა. ვანო თარხნიშვილი.

სოფო ტოროშელიძე: „ქვეყანაში იმდენი მშიერი და ნიჭიერი მუსიკოსი დადის...“

მომღერალი სოფო ტოროშელიძე ქვეყანაში უამრავი ნიჭიერი და მშიერი მუსიკოსის არსებობას აპროტესტებს:

– ქვეყანაში იმდენი მშიერი მუსიკოსი და ნიჭიერი ადამიანი დადის, რომ ფიზიკურად აღარ ეტევა!

მუშაობს მხოლოდ ჭამა-სმა, აიტი და პოლიტიკა... დანარჩენი ყველა სფერო ჭაობში ტივტივებს და არსებობისთვის იბრძვის.

გიორგი სუხიტაშვილი ამერიკის ისტორიის მუზეუმში წარდგენილმა საქართველოს სტენდმა გააბრაზა

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ამერიკაში იმყოფება, სადაც ნიუ იორკში მდებარე ისტორიის მუზეუმი მოინახულა.

გიორგი სუხიტაშვილი:

– დღეს ვიგრძენი, რომ არაფერში არ ვვარგივართ. მხოლოდ ბაქიბუქი ვიცით.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მუზეუმში – ამერიკის ისტორიის მუზეუმში ჩვენი საქართველოს კუთხეა ყველაზე მწირი და უბადრუკი. ქვეყანას, რომელსაც აქვს ასეთი და ამდენი ანბანი, ასეთი ისტორია, არქიტექტურა, ორნამენტი, საკრავები, სამოსი და რა ვიცი კიდე რა. ასე უნდა გამოიყურებოდეს კუთხე? ვის ეხება ეს, ვინ უნდა მოაგვაროს? გული გამისკდა, რომ დავინახე, გავბრაზდი და უსამართლობის განცდა დამეუფლა. გთხოვთ მოაგვაროთ ეს როგორმე!

გუგა კოტეტიშვილი ახალ ფილმში გადაიღეს

დიზაინერი გუგა კოტეტიშვილი ახალ ფილმში გადაიღეს.

„იღბალი“ – ასე ეწოდება ფილმს, რომლის რეჟისორიც ნინო ჟვანიაა. ეს არ არის პირველი ფილმი, სადაც გუგა მონაწილეობს. მან სამსახიობო კარიერაში პირველი ნაბიჯები რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ფილმში „ქუჩის დღეები“ გადადგა, სადაც მთავარი როლი ითამაშა.

ფილმი „იღბალი“ უიღბლო კრიმინალის, ქუჩის მხატვრის და ავანტიურისტი მექალთანე მსახიობის თავგადასავალს მოგვითხრობს.

გუგა კოტეტიშვილთან ერთად ფილმში მსახიობი გოგა პიპინაშვილი და მწერალი არჩილ ქიქოძე მონაწილეობენ.

ნინო ჟვანიას ნამუშევრის ნახვა ქართული კინოს მოყვარულებს 11 აპრილიდან საქართველოს კინოთეატრებში შეეძლებათ.

ბალახის სათიბმა მამაკაცი წყალში ჩაითრია და დაახრჩო

ამერიკის ტეხასის შტატის მკვიდრი ბალახს თიბავდა მდინარის პირას მდებარე ნაკვეთთან, რა დროსაც წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. აღნიშნული ინფორმაციის ფეისბუქში საკუთარ გვერდზე პოლიციის ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლებმა განათავსეს.

პოლიციის მონაცემებით, ინციდენტი 4 აპრილს კეპის ოლქში მოხდა. ადამ გონსალესი სახლის მახლობლად ბალახის სათიბით ბალახს თიბავდა. როდესაც 58 წლის მამაკაცი მდინარის ნაპირს მიუახლოვდა, მანქანა გადაყირავდა.

– გონსალესი წყალში ჩავარდა და ბალახის სათიბმა ქვეშ მოიყოლა. ის იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ მამაკაცმა დამოუკიდებლად თავის გადარჩენა ვერ შეძლო, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში. სამაშველო ბრიგადამ დაღუპული მამაკაცის წყლიდან ამოყვანა, მხოლოდ მეორე დღეს შეძლო.

სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს პროფესორ **მერაბ კაკულიას** დედის, ქალბატონი

იზოლდა დათუნაიშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, პროფესორ **სოლომონ პავლიაშვილს** დედის, ქალბატონი

ელიკო პავლიაშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მსახიობ პაატა ვახტანგიშვილს შეურაცხყოფას აყენებენ

სოხუმის თეატრის მსახიობს პაატა ვახტანგიშვილს, რომელიც ჟურნალისტ ნოდარ მელაძის ნახევარძმაა, შეურაცხყოფას აყენებენ:

„იცოდე, ვინ არის ნოდარ მელაძის ძმა! ადამიანი, რომელმაც 2007 წელს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობები მიაყენა სამ ადამიანს. გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობის მუხლით აწარმოებდნენ, მაგრამ საქმე შემდგომში გადაკვალიფიცირდა და ის გასამართლებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით, რაც მოიცავს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, დამზადება-გადაზიდვას ან გასაღებას. მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, პირობითი გამოსაცდელი ვადა 5 წელი. მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით კი, ამინისტიის საფუძველზე გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.“

გავრცელებულ განცხადებას პაატა ვახტანგიშვილის კოლეგა, სოხუმის თეატრის მსახიობი **ნანა ხურითი** გამოესარჩლა:

– მივმართავ შესაბამის ორგანოებს და ჩემს მეგობრებს, რომლებიც იზიარებენ ამ უმსგავსობას! მიხედეთ ამ ტროლებს! მათ თუ ჰგონიათ, ამით კარგ საქმეს უკეთებენ ოცნებას, ძალიან ცდებიან!

იცოდეთ! პაატა ვახტანგიშვილი არის უნიჭიერესი მსახიობი, უერთგულესი მეგობარი! ჯერ კიდევ 2004 წლიდან, როცა დღევანდელი ოცნების სახეები და თუნდაც ლიდერები ჩახუტებულები იყვნენ იმ რეჟიმის შემქმნელებთან, ჩვენ და ბევრი ჩემი მეგობარი, მათ შორის პაატა ვახტანგიშვილი, ქუჩაში ვიდექით.

ეს ის პაატა ვახტანგიშვილია, რომელიც აბსურდული ბრალდებით დააკავეს და თავის თავზე გადაიტანა ის სისასტიკე, რასაც ციხეებში სჩადიოდნენ. ეს ის პაატა ვახტანგიშვილია, რომელიც სოხუმის თეატრიდან გაუშვეს ჩემთან, ლილისთან და დიმა ჯაიანთან ერთად. სწორედაც პოლიტიკური ნიშნით 2010 წელს, კაცის მკვლელობას აბრალებდნენ დიმას და პაატას. ეს ის პაატა ვახტანგიშვილია, რომელიც მიუხედავად დიდი რისკისა, რადგან პრობაციონერი იყო, ჩართული იყო წინასაარჩევნო კამპანიაში 2012 წელს და ალპინისტებთან ერთად ავიდნენ ერთ-ერთ მწვერვალზე „ქართული ოცნების“ მაისურებით და ოცნების დროშა აღმართეს სიმაღლეზე!

ჩვენ ისინი ვართ, როცა ოცნება „ოცნებობდა“ და მანამდეც ქუჩაში ვიდექით. თქვენ ვინ ხართ, თქვენ! „ტროლებო“! სამწუხაროდ, დიდი ხანია ოცნება ნაციონალების გავლენის ქვეშაა და მათ მეთოდებსაც კარგად კი არა, ცუდად იყენებს, ცუდად...

თუმცა რა მიკვირს... იცნობდეთ პაატა ვახტანგიშვილს!

გიორგი გასვიანი: „ღორულად გვიცხოვრია 30 წელი!“

ასე მიაჩნია მსახიობსა და ტელეწამყვანს გიორგი გასვიანს და თავისი განცხადების ახსნასაც ცდილობს:

– ღორულად გვიცხოვრია 30 წელი!

ლუსტრაციაა 9 აპრილის დღე ყველაფრის. გათენდა 9 აპრილი და თავისუფლება ისევ გვენატრება, რადგან არ განვითარებულვართ და თავისუფლების 30 წლიან ციკლში მხოლოდ იმის გვეშინოდა და დღემდე გვეშინია, ლუკმა არ დაგვაკარგვინონ! ქვეყნის განვითარება რა დონეზეა, თქვენი აზრით? კარგი, ტერიტორიები ვერ დავიბრუნეთ, რუსეთი გვიშლის!.. ნატოშიც ვერ შევდივართ, აქაც, რა თქმა უნდა, რუსეთი გვიშლის!.. მაგრამ, ხომ შეიძლებოდა უკეთესად დაგებული გზები, მოწესრიგებული არქიტექტურა, უფრო სუფთა ჰაერი და სიმწვანე, ცოტათი ნაკლები მათხოვარი და ნაკლები ემიგრანტი გვყოლოდა?

ღორულად ვიცხოვრეთ... ან მანქანები რა დღეში გვყავს, სანაპიროზე ამოიგუდები ისეთი ჰაერია, კორპუსები გვეჯღანებიან და ადამიანები ყოველგვარ სტანდარტზე დაბლა ვცხოვრობთ, გაზით იგუდებიან... ეს ყველაფერი რისი ბრალია? ფასები რომ სამმაგია ამ სამი ათეული წლის მანძილზე – რაიმე პროდუქტი შეგვექმნა, რომ ჩვენი წარმოება გვქონოდა... 9 აპრილის გმირებმა თავი იმიტომ გაწირეს, რომ ეს ქვეყანა დამოუკიდებელი ყოფილიყო.. მაგრამ ამ ქვეყანაში დამოუკიდებელი ხალხი არ ცხოვრობს.. რადგან დამოუკიდებლად ვერაფერს ვერც ქმნიან და ვერც წყვეტენ!

ალბათ, ამ 30 წლიან ციკლს, რაღაც ახალი სული და თაობა ჩაანაცვლებს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მამაკაცი თავის ტვინზე ოპერაციის დროს ხუმრობას არ წყვეტდა

დიდ ბრიტანეთში პაციენტი, რომელსაც თავის ტვინზე სიმსივნე ჰქონდა, ოპერაციის მიმდინარეობისას ხუმრობას არ წყვეტდა.

ქირურგები ხუთი საათის განმავლობაში აკეთებდნენ ოპერაციას. მათ კამერონ რეიუს ანესთეზიის მცირე დოზა გაუკეთეს და ნარკოზის მდგომარეობაში გადაიყვანეს. ერთი საათის შემდეგ ანესთეზიოლოგმა წამლის მიწოდება შეამცირა, რის შედეგადაც მამაკაცი გონზე მოვიდა.

რეიუს სიმსივნე შუბლის მარცხენა ნაწილში ჰქონდა, ცენტრში, რომელიც ყურადღებაზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე, საკუთარი თავის კონტროლის შესაძლებლობა და კრიტიკულ თვითშეფასებაზეა პასუხისმგებელი. ოპერაციის დროს ლოგოპედი ბეკი მარი პაციენტს სხვადასხვა დავალებებს აძლევდა იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებდა სამედიცინო ჩარევა ორგანოს გარკვეულ მონაკვეთებზე ტვინის აქტიურობაზე.

ოპერაციის დასრულების შემდეგ ბრიტანელმა აღიარა, რომ ნარკოზიდან გამოსვლის შემდგომი პირველი 20 წუთი არ ახსოვს.

– მაგრამ შემდეგ ექიმებსა და ბაკისთან ვლაყბობდი, ვიცინოდი და ვხუმრობდი, – განაცხადა მამაკაცმა, – ტკივილი არ მიგრძნია. უბრალოდ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ თავის კანი მექავებოდა, მაგრამ მისი მოფხანა არ შემეძლო.

ექიმებმა წარმატებით მოაშორეს მამაკაცს თავის ტვინიდან სიმსივნის 95 პროცენტი, თუმცა იქვე განაცხადეს, რომ კიბომ შესაძლოა პროგრესირება განიცადოს. პაციენტი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს.

სმოლენსკის ტრაგედიიდან, რომელმაც პოლონეთის პოლიტიკური ელიტა იმსხვერპლა, 9 წელი გავიდა

სმოლენსკის ავიაკატასტროფიდან დღეს 9 წელი გავიდა. პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ლაინერი სმოლენსკთან, 2010 წლის 10 აპრილს ჩამოვარდა. პოლონეთის ლიდერის გარდა, ავიაკატასტროფის შედეგად მისი მეუღლე და ბორტზე მყოფი პოლონეთის დელეგაციის 94 წევრი დაიღუპა.

თვითმფრინავის კატასტროფის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთ ვერსიად რუსი დისპეჩერების დაუდევრობა დასახელდა. ვერსიის თანახმად, მათ, ცუდი ამინდის პირობებში ხილვადობის დონე სათანადოდ ვერ შეაფასეს. რამაც, ეკიპაჟის შეცდომაში შეიყვანეს. მეორე ვერსიით თანახმად, სავარაუდოდ, ლაინერზე აფეთქება მოხდა, რის გამოც თვითმფრინავი ნაწილებად ჰაერშივე დაიშალა.

ავიაკატასტროფის პირველადი გამოძიების შედეგად, ექსპერტებმა დადგინეს, რომ ეკიპაჟი თვითმფრინავის დასმას ნისლში ცდილობდა, რა დროსაც მისი ფრთა ხეს გამოედო.

2015 წელს პოლონეთის ხელისუფლებაში მოსულმა „კონსერვატიულმა პარტიამ“ 2010 წლის ავიაკატასტროფის ხელახალი გამოძიება დაიწყო.

2018 წლის იანვარში, სმოლენსკის ავიაკატასტროფის საქმეზე მომუშავე კომისიის სხდომაზე, საავიაციო ინციდენტების საკითხებში საერთაშორისო ექსპერტის, ფრენკ ტეილორის ანგარიში წარადგინეს. ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ტრაგედიის პირველად ვერსიას. მისი შეფასებით, თვითმფრინავის მარცხენა ფრთა შიდა აფეთქებამ დააზიანა.

მალაიზიელი პრინცი უბრალო შვედ ქალზე იქორწინებს

მალაიზიის ყოფილი უზენაესი მმართველის, რომელმაც „მის მოსკოვზე“ დაქორწინების შემდეგ ტახტზე უარი თქვა, უმცროსი ძმა შვედ ქალზე იქორწინებს.

45 წლის ტენგკუ მუჰამედ ფაიზ პეტრამ და 33 წლის სოფი ლუიზა იოჰანსონმა ერთმანეთი იმ დროს გაიცნეს, როდესაც ტახტის მემკვიდრე პრინცი ლონდონის ეკონომიკის სკოლასა და ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში ისტორიას სწავლობდა. ქალიც ასევე დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდა და მუშაობდა.

ქორწილი 19 აპრილისთვისაა დანიშნული. ცერემონიას დაესწრებიან სამეფო ოჯახის წევრები და პრინცის ახლო მეგობრები. საქორწინო საჩუქრებს ბავშვთა და მოხუცებულთა სახლებს, მალაიზიის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციასა და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს შეწირავენ.

ტახტის მემკვიდრე პრინცის გეგმებმა მალაიზიელთა შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი წუხან იმის გამო, რომ ის უცხოელზე აპირებს დაქორწინებას, სხვები კი მას გაჭირვებულების დახმარებისთვის აქებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 აპრილისთვის

- აშშ დოლარი — 2.6893
- ევრო — 3.0236
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5103
- 100 რუსული რუბლი — 4.1202

ამინდის პროგნოზი 11 აპრილისთვის



„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

9 აპრილიდან

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

მაუგლის ამბები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

...

ბარში შესულმა მამაკაცმა მარტინი შეუკვეთა. მარტინიდან ზეთისხილი ამოიღო, პაკეტში ჩადო, მარტინი კი დალია. ისევ შეუკვეთა მარტინი, ისევ ამოიღო ზეთისხილი, მარტინი კი ისევ დალია და ასე განმეორდა რამდენჯერმე. როდესაც პაკეტი ზეთისხილით გაავსო და საკმაოდ შექეიფიანებულმა ბარის დატოვება დააპირა, გაოცებული ბარმენი ეუბნება:

– ასეთი უცნაური რამ ჩემ ცხოვრებაში არ მინახავს...

– რას ხედავ უცნაურს? უბრალოდ, ცოლმა ზეთისხილის საყიდლად გამომაგზავნა!

●●●

კაცი და ქალი ღვინოს სვამენ. ქალი ეუბნება:

– მე მეტი აღარ დამისხა.

– რატომ?

– ჩემ ფეხებს რაღაც ემართება...

– რა, გეკვეთება?

– არა, მეჩაჩხება...

●●●

სამხედრო სასწავლებლის უფროსს ურეკავენ და ეუბნებიან:

– თქვენი კურსანტი გაუპატიურების მცდელობისთვის დავაპატიმრეთ.

– მცდელობისთვის თუ გაუპატიურებისთვის?

– მცდელობისთვის.

– მაშინ, ეგ ჩვენი კურსანტი არ ყოფილა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ და შენი ცოლი თუ ჩხუბობთ?

– რა თქმა უნდა.

– და მერე როგორ რიგდებით?

– როუტერს ვუთიშავ და ველოდები, როდის მთხოვს ინტერნეტის „გარემონტებას“.

●●●

გოგონამ მაღაზიაში კაბა იყიდა. დაახლოებით ერთ საათში უკან დაბრუნდა და გამყიდველს ეუბნება:

– თუ შეიძლება გამოიცვალეთ.

– რატომ? თავიდან ხომ მოგეწონათ და ახლა რას უწუნებთ?

– ჩემ მშობლებსაც მოეწონათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეტოო: „ბარსელონას მოგებებში მესიზე მეტი წვლილი მიმიძღვის“

კამერუნელმა ფორვარდმა სამუელ ეტოომ ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც ის მესისთან ერთად ბარსელონაში თამაშობდა.

ეტოოს თქმით, ბარსელონას გამარჯვებები 2009 წელს დიდწილად მისი დამსახურება იყო და გვარდიოლა მის მიმართ სათანადო პატივისცემას არ იჩენდა:

– გვარდიოლას პირდაპირ ვეუბნებოდი, რომ ჩემი დამსახურებები მესიზე ნაკლები არ იყო და მას მეტი პატივისცემა უნდა გამოეჩინა. ამის გამო გვარდიოლამ ამითვალწუნა და საბოლოოდ ბარსელონადან წასვლა მომიწია.

2008-09 წლის სეზონში ეტოომ სეზონში 40 გოლის გატანა მოახერხა და ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

ჟოზე მოურინიო ლიონში შენიშნეს

პორტუგალიელი სპეციალისტი ჟოზე მოურინიო ლიონში შენიშნეს, სადაც ის, სავარაუდოდ, ადგილობრივი კლუბის მესვეურებთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა.

უკვე იყო საუბრები იმაზე, რომ მოურინიოს სურს საფრანგეთში მუშაობა და, სავარაუდოდ, ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოს არის.

თვითონ ჟოზემ განაცხადა, რომ მისი მომავალი გუნდი აუცილებლად ამბიციური უნდა იყოს და ფული მას ნაკლებად ადარდებს.

მოურინიო მანჩესტერ იუნაიტედიდან დეკემბერში გაათავისუფლეს.

ვინჩენცო მონტელა ფიორენტინას მწვრთნელი გახდა

ფიორენტინას ახალი მწვრთნელი ვინჩენცო მონტელა იქნება, რომელმაც გუნდთან კონტრაქტი 2021 წლამდე გააფორმა.

მონტელა უკვე იყო ფიორენტინას თავკაცი 2012-15 წლებში და მაშინ გუნდი სტაბილურად თამაშობდა. 2015 წელს მონტელას გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა, რის შემდეგაც მან პოსტი დატოვა.

როგორც ჩანს, უთანხმოება წარსულში დარჩა და მონტელა კვლავ ფიორენტინაშია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეგან მარკლი და პრინცი ჰარი ახალ ბინაში გადავიდნენ

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი და მისი მეუღლე პრინცი ჰარი ახალ სახლში გადავიდნენ, უინძორში ფროგმორ-ჰაუსის ქალაქგარე რეზიდენციაში.

ახალ ბინაში მათი პირველი სტუმარი ჰოლივუდელი ვიზაჟისტი დენიელ მარტინი გახდა, ჰერცოგინიას საქორწინო მაკიაჟის ავტორი. ის რეზიდენციის მახლობლად იმყოფებოდა და გადაწყვიტა, სამეფო ოჯახი მოენახულებინა. მარტინმა სოციალურ ქსელებში ისტორიული შენობის ერთ-ერთი ნაწილის ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

აღსანიშნავია, რომ მანამდე ვიზაჟისტი წყვილს ლონდონის კენსინგტონის სასახლეში სტუმრობდა და სადილის დროს გადაიღო ფოტოსურათი, რომლის კომენტარშიც დაწერა:

– მადლობა, მეგან, იმისთვის, რომ ამ დასვენების დღეებში ასეთი შესანიშნავი დიასახლისობა გასწიე და რომ ასე ძალიან გიყვარს ავოკადოს ტოსტები. ძალიან გემრიელია!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 2. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 3. ბელინის ოპერა; 5. აეროპორტი პარიზში; 6. მდინარე სამეგრელოში; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. მუნჯი კინოს კომიკოსი; 14. ირლანდიის დედაქალაქი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. ცნობილი ფრანგი მევიოლინე მამაკაცი.

თარაზულად: 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული ცხელი წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. აზნაურის ტიტული საფრანგეთში; 7. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 9. რიგითი მეზღვაური; 10. პატარა ხის სახლი ჩინეთში; 12. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. დედინაცვლის ენად წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 18. სხვისი კეთილდღეობისათვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. დაბალი რანგის დიპლომატი; 21. თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა